პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

სამშაბათი, 11 მაისი 1937 წ. № 106 (4907)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

- — ფართო მოხმარების საგნები (მოწინავე)
- — საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ახლადშექმნილ მოკავშირე რესპუბლიკათა კომკავშირული ორგანიზაციების შესახებ
- — თბილისის XVI საქალაქო პარტკონფერენციაზე
- — სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმში
- — ი. ჩიაევი—უგზოობასთან ბრძოლა სამხრეთ-ოსეთში (ფელეტონი)
- — მჭედლიშვილი—მინდვრებო წიწამურისა... (ლექსი)
- უცხოეთში:
- — მდგომარეობა ესპანეთის ფრონტებზე
- — ესპანეთის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი
- — „სიკვდილი ფაშიზმის აგენტებს!“
- — ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტის კომუნიკე
- — მანჯოუგოს ადმინისტრატიული რეფორმა.

ფართო მოხმარების საგნები

ხახალხო მეურნეობის სწრაფ აღმავლობას გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში თან მოსდევს მშრომელთა კულტურული და მატერიალური მდგომარეობის სწრაფი აღმავლობა. საბჭოთა კავშირი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც სრულიად მოსპო უმუშევრობა, გზა გაუხსნა თავისუფალ შრომას და მშრომელთა მასის ბედნიერ-საამურ ცხოვრებას.

საბჭოთა ქვეყნის ეკონომიურ-კულტურული განვითარება სულ უფრო და უფრო აძლიერებს მოთხოვნილებას ფართო მოხმარების საგნებზე. შეუნელებლივ იზრდება საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა საარსებო დონე, მათი მსყიდველობითი უნარიანობა, ხოლო ეს კიდევ უფრო აძლიერებს მოთხოვნილებას ფართო მოხმარების საგნებზე.

საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობის დადგენილების შესაბამისად მეორე ხუთწლედში ფართო მოხმარების საგნების წარმოება ჩვენში არაჩვეულებრივ სწრაფი აღმავლობის გზით ვითარდება, მაგრამ ის ჯერ კიდევ ვერ დაეწია იმ გაზრდილ მოთხოვნილებას, რომელსაც აყენებს საბჭოთა მომხმარებელი.

ეს გარემოება ავალებს საბჭოთა ქვეყნის თვითეულ საწარმოს, პირველ რიგში სახელმწიფო მრეწველობას და სარეწაო კოოპერაციას, გაამახვილონ ყურადღება ფართო მოხმარების საგნების წარმოებაზე და არა მარტო შეასრულონ გეგმით მიცემული დავალებები, არამედ აგრეთვე გამოიყენონ ყოველგვარი შინაგანი, ჯერ კიდევ გამოუვლინებელი რეზერვები და გადაჭარბებით შეასრულონ გეგმები.

ამ მხრივ საქართველოს სს რესპუბლიკაში აშკარად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს. საქართველოს მსუბუქმა მრეწველობამ პირველ კვარტალში დაგვაკლო 3 მილიონ მანეთზე მეტის ფართო მოხმარების საგნები. ადგილობრივმა (რესპუბლიკური დაქვემდებარების) მრეწველობამ სანახევროდაც ვერ შეასრულა ფართო მოხმარების ლითონის ნაკეთობათა გამოშვების გეგმა. ასევე არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა ფართო მოხმარების საგნების გამოშვებაზე საქართველოს სარეწაო კოოპერაცია.

გეგმის რაოდენობრივ შესრულებაზე კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ხარისხს. მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების, მათი კულტურულად მომსახურების ამოცანა მოითხოვს პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას, წუნდებული და არასრულ ღირებულებიანი პროდუქციის გამოშვების სრულიად აღმოფხვრას. ამ მხრივ კიდევ უარესი მდგომარეობა გვაქვს. მიუხედავად საკავშირო მთავრობის კატეგორიული აკრძალვისა, ზოგიერთი საწარმო კვლავ განაგრძობს წუნდებული და მდარე ხარისხის პროდუქციის გამოშვებას.

საქართველოს შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ პროდუქციის ხარისხის შემოწმების შედეგად, მიმდინარე წლის იანვარში, აიკრძალა გასასყიდად და მოსპეს, როგორც სრულიად უვარგისი, 506 ათასი მანეთის ფართო მოხმარების სასურსათო საგნები (ზეთი, ერბო, თევზი, საკონდიტრო ნაწარმი, ყველი და სხვ.), ხოლო 643 ათასი მანეთის სასურსათო საგნები დაუბრუნდა მრეწველობას გადასამუშავებლად. სასურსათო საგნების ასეთი ცუდი ხარისხი შედეგია მავნებლობისა, რომელსაც ეწეოდნენ საქართველოს კვების მრეწველობაში მოყვალათებული კონტრრევოლუციონერი ტროცკისტ-დივერსანტები მათითაშვილი და სხვები.

პროდუქციის ხარისხისადმი დანაშაულებრივ დამოკიდებულებას აქვს ადგილი აგრეთვე საქართველოს სამკერვალო და საფეიქრო-სატრიკოტაჟო წარმოებაში. სამკერვალო ფაბრიკები, გარდა იმისა, რომ უხეშად არღვევენ საწარმოო ასორტიმენტს, პროდუქციის ხარისხისათვისაც არ იბრძვიან, ყურადღებას არ აქცევენ გარეგნულ გაფორმებას, სილამაზეს, აბარებენ სავაჭრო ორგანიზაციებს გაურეცხავ თეთრეულს და დაუუთოვებელ ნაწარმს, უშვებენ არასეზონურ პროდუქციას და ამით ხელოვნურად იწვევენ საქონლის ჩაწოლას, მაშინ როცა ბაზრის მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი რჩება.

თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკა შეიარაღებულია ჩულქების საუკეთესო, უცხოური მანქანებით. მიუხედავად ამისა, აბრეშუმის ჩულქების ხარისხი ყოვლად უვარგისია. თვლების ხშირი ჩაცვენა და უხეირო შესრულება აბრეშუმის ჩულქებს სრულებით უკარგავს გამძლეობას და ყოვლად გამოუსადეგარს ხდის მას ფართო მოხმარებისათვის. ასეთივეა ტრიკოტაჟის ფაბრიკის ზოგიერთი სხვა პროდუქციაც. საფეიქრო მრეწველობაში არ არის დაცული სტანდარტი ძაფების ოდენობის მხრივ, რაც აგრეთვე სცემს პროდუქციის ხარისხს.

პროდუქციის ხარისხისადმი სრულ უპასუხისმგებლობას იჩენს აგრეთვე თბილისის ახალი ფეხსაცმლის ფაბრიკა. მიუხედავად იმისა, რომ ფაბრიკა მოწინავე ტექნიკით არის შეიარაღებული, იგი ყოვლად უხეირო პროდუქციას უშვებს. წუნდებული პროდუქცია გასული წლის მეოთხე კვარტალში შეადგენდა 6 პროცენტს, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კი გაიზარდა 20—30 პროცენტამდე. პროდუქციის დანარჩენი ნაწილი მთლიანად მეორე და მესამე ხარისხისაა. პირველი ხარისხის პროდუქციას ფაბრიკა თითქმის სრულებით აღარ უშვებს. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით კი იგი მთლიანად პირველი ხარისხის პროდუქციას უნდა უშვებდეს.

ფართო მოხმარების საგნების წარმოებისადმი ასეთ მავნებლურ დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს. მრეწველობის სახალხო კომისარიატები და საწარმოთა დირექტორები ვალდებული არიან მტკიცედ შეასრულონ პარტიისა და ხელისუფლების დავალება, ბოლო მოუღონ წუნის და მდარეხარისხოვან პროდუქციის გამოშვებას, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ ფართო მოხმარების საგნების წარმოების გეგმები და ამით ხელი შეუწყონ საბჭოთა მომხმარებლის მზარდი მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილებას.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ფართო მოხმარების საგნების დაგეგმვა. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას არც კი შეუდგენია ფართო მოხმარების საგნების კვარტალური გეგმა. ამის გამო შეუძლებელი ხდება გეგმების შესრულების მეთვალყურეობა და ფართო მოხმარების საგნების გეგმის ჩაშლის კონკრეტული ფაქტების გამოვლინება. ეს ნაკლიც უნდა გამოსწორდეს. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ცალკე უნდა გამოჰყოს ფართო მოხმარების საგნების წარმოების გეგმა და სისტემატური მეთვალყურეობა გაუწიოს მათი შესრულების მსვლელობას.

დარბაზობა ესპანეთის დელეგაციის პატივსაცემად

მოსკოვი, 10 მაისი. (საქდესი). 9 მაისს ესპანეთის დელეგაციის ნაწილმა ინახულა ბოლშევოს შრომის კომუნა. დელეგატებმა დაათვალიერეს სასწავლო კომბინატი, საბავშვო დაწესებულებანი და სატრიკოტაჟო ფაბრიკა.

საღამოს საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის სრულიად-საკავშირო საზოგადოებაში გაიმართა დარბაზობა ესპანეთის დელეგაციის პატივსაცემად. დარბაზობას დაესწრნენ ესპანეთის ელჩი სსრ კავშირში მარსელინო პასკუა, ესპანეთის საელჩოს მოხელენი, საბჭოთა მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და პრესის წარმომადგენელნი.

ესპანელ სტუმრებს მიესალმა საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის სრულიად-საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. აროსევი, რომელმაც გამოსთქვა რწმენა, რომ მომავალში უფრო განვითარდება კულტურული ურთიერთობა სსრ კავშირსა და ესპანეთს შორის.

ესპანეთის დელეგაციის სახელით საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა რესპუბლიკური არმიის ლეიტენანტმა ხოზე ალკალა ზამორამ.

სტუმრებს გაუმართეს დიდი კონცერტი.

◆

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

სოხუმი, 10 მაისი (საქდესი). დღეს, 10 მაისს, შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმის შემადგენლობაში აირჩიეს 51 წევრი და 10 კანდიდატი. სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში—5 კაცი. დელეგატებად საქართველოს კ. პ. (ბ) მე-10 ყრილობაზე გასაგზავნად აირჩიეს გადამწყვეტი ხმით 28 კაცი. სათათბირო ხმით—4.

პლენუმმა ბიუროს შემადგენლობაში ერთხმად აირჩია ამხ. მ. გობეჩია, ა. აგრბა, პ. კიკორია, დ. ქუჩულორია, ვ. ჟუჟუნავა, ა. ქავთარაძე, კ. გვალია და კანდიდატებად 4 კაცი.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხანაგი გობეჩია, მეორე მდივნად—ამხ. კიკორია, მესამე მდივნად—ამხ. აბზიანიძე.

გაიხსნა აჭარის XVI საოლქო პარტკონფერენცია

ბათუმი, 10 მაისი. (საქდესი). გუშინ საღამოს 7 საათზე წითელი არმიის სახლში გაიხსნა აჭარის მე-16 საოლქო პარტკონფერენცია.

კონფერენციის დღის წესრიგშია— საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის ანგარიში—მომხსენებელია ამხ. კოჭლამაზაშვილი, საოლქო კომიტეტის სარევიზიო კომისიის მოხსენება—მომხსენებელია ამხ. გარდავა, საოლქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა და საქართველოს კომპარტიის მე-10 ყრილობის დელეგატების არჩევნები.

მდგომარეობა ესპანეთის ფრონტებზე

(საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობების მიხედვით)

ცენტრალური ფრონტი

8 მაისს რესპუბლიკელთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ მადრიდის ფრონტის სამ სხვადასხვა უბანზე. მდინარე ხარამის რაიონში რესპუბლიკელები ძლიერ მიაწვნენ მეამბოხეთა პოზიციებს პერალესში. ტანკების დახმარებით რესპუბლიკელებმა დაიკავეს მეამბოხეთა მთელი რიგი სანგრები და აიძულეს მტერი ზოგიერთ პუნქტში ნახევარზე მეტი კილომეტრით უკან დახეულიყო. კარაბანჩელში რესპუბლიკელებმა დაიკავეს მტრის რამდენიმე გამაგრებული პუნქტი. სერო რაბიოს მთის ძირში რესპუბლიკელთა ჯარებმა იერიშით დაიკავეს მეამბოხეთა სიმაგრეების გარე რგოლი.

ტოლედოს სამხრეთით მდებარე რაიონში რესპუბლიკელებმა, მოიგერიეს რა 7 მაისს მეამბოხეთა ძლიერი იერიში, 8 მაისს გადავიდნენ კონტრშეტევაზე, დაიკავეს სოფელი არხესი და შეინარჩუნეს იგი, მიუხედავად მეამბოხეთა კონტრიერიშებისა. რესპუბლიკელთა ავიაცია აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ ოპერაციაში, მან მოახდინა მთელი რიგი გაფრენები დაზვერვისა და ბომბარდირების მიზნით.

ესტრამადურისკენ მიმავალ გზაზე რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს 10 საბარგო ავტომობილისაგან შემდგარ კოლონას, რომლებსაც ტალავერიდან გადაჰყავდათ ჯარები და გადაჰქონდათ საჭურველი. რამდენიმე საბარგო ავტომობილი მოსპობილია.

ბისკაის ფრონტი

8 მაისს მეამბოხენი არტილერიისა და ავიაციის დახმარებით ახალ იერიშზე გადავიდნენ ბერმეოს რაიონში.

მთელი დღის განმავლობაში რესპუბლიკელთა ჯარებმა მტკიცედ გადიტანეს ძლიერი ბრძოლები სოლიუბეს მთის მასივის რაიონში. მტერმა უდიდესი ძლიერებით მიიტანა იერიში რესპუბლიკელთა პოზიციებზე. ფაშისტთა ავიაციამ მთელი რიგი გაფრენები მოახდინა რესპუბლიკელთა ტერიტორიაზე ყუმბარების დაშენის მიზნით. გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა ცვალებადი წარმატებით. უმეტეს შემთხვევაში რესპუბლიკელები ახორციელებდნენ წარმატებით კონტრიერიშებს, სხვა შემთხვევებში ისინი ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდნენ მტრის ძლიერ მოწოლას.

ასტურიის ფრონტი

რესპუბლიკელთა ჯარები ენერგიულ იერიშზე გადავიდნენ ესკამპლეროს რაიონში და დაიკავეს მეამბოხეთა მნიშვნელოვანი პოზიცია. ხელთ იგდეს ტყვეები და ტყვიამფრქვევი.

სამხრეთის ფრონტი

ფუენტე ოვეხუნის რაიონში რესპუბლიკელებმა გაიუმჯობესეს პოზიციები. ახლა რესპუბლიკელთა არტილერია დაჰყურებს ალანის დე ასუეგისკენ მიმავალ გზას. რესპუბლიკელები ტყვიამფრქვევებს უშენენ პუებლო ნუევოსკენ მიმავალ გზას. მეამბოხეთა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა რესპუბლიკელთა პოზიციებს მონტეროს, ვილა დელ რიოს და ლოპერის რაიონებში.

◆

8 მაისს რესპუბლიკელთა ესკადრილიამ წარმატებით დაუშინა ყუმბარები მელილიას ნავსადგურში (ესპანეთის მაროკო) მდგარ გემებს. მეამბოხეთა საზენიტო ქვემეხების ინტენსიური ცეცხლის მიუხედავად, რესპუბლიკელთა თვითმფრინავები მშვიდობით დაბრუნდნენ თავის ბაზაში.

ესპანეთის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი

ვალენსია, 9 მაისი (საქდესი). გუშინ გვიან ღამით დამთავრდა მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომა. სხდომის შემდეგ განათლების მინისტრმა ერნანდესმა აცნობა პრესის წარმომადგენლებს, რომ მთავრობამ, განიხილა რა კატალონიის ამბების საკითხი, ერთხმად დაადგინა: 1) უდიდესი სიმკაცრით დაჰგმოს ის პირნი, რომელთაც ბრალი მიუძღვით კატალონიის ამბებში, ვინაიდან მარტო რესპუბლიკის მტრებს, რომელნიც დაინტერესებულნი არიან გაუძნელონ ხალხს ფაშიზმის დამარცხება, შეუძლიათ აღმართონ იარაღი კანონიერი რესპუბლიკური ხელისუფლების წინაღმდეგ; 2) მოხდეს სასტიკი გამოძიება ხსენებული ამბების მიზეზებისა და მსვლელობისა და კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯოს კატალონიაში მომხდარი დანაშაულებრივი მოქმედებანი; 3) უყოყმანოდ მოხდეს მოსახლეობის განიარაღება, გაფრთხილებულ იქნას მოსახლეობა, რომ უსასტიკესი ზომები იქნება მიღებული იმათ მიმართ, ვინც წინააღმდეგობას გაუწევს ამის განხორციელებას; 4) შინაგან საქმეთა მინისტრს მიენდო დაუყოვნებლივ მოხსნას საზღვრების, გზების და ნავსადგურების ყოველი სახის დაცვა და კონტროლი, რომლებიც არ ითვლება მის გამგებლობაში.

მთავრობა იმედოვნებს, დასძინა ერნანდესმა, რომ ყველა პროფესიული ორგანიზაცია და პოლიტიკური პარტიები მაქსიმალურ დახმარებას აღმოუჩენენ მას ამ ღონისძიებათა სასწრაფოდ შესრულებაში, რაც უზრუნველჰყოფს მშვიდობიანობასა და სიწყნარეს ზურგში.

კატალონიის მუშათა საყოველთაო კავშირის გადაწყვეტილება პროფკავშირული ორგანიზაციებიდან ტროცკისტთა გარიცხვის შესახებ

ვალენსია, 9 მაისი (საკავშირო დეპეშათა სააგენტოს სპეც. კორესპონდენტი). (საქდესი). როგორც ბარსელონიდან იუწყებიან, კატალონიის მუშები მიესალმებიან მუშათა საყოველთაო კავშირის გადაწყვეტილებას, რომელშიაც ნათქვამია: „ეგრეთწოდებული პოუმი წარმოადგენს ისეთ ორგანიზაციას, რომელმაც თავისი კონტრრევოლუციური დედაარსი გამოამჟღავნა ამ უკანასკნელი დღეების ამბებში, როდესაც იგი ემყარებოდა უკონტროლო ელემენტებსა და შრომის ნაციონალური კონფედერაციის ჯგუფებს, რომლებსაც საჯაროდ ნიღაბი ჩამოჰხადა კატალონიის შრომის ნაციონალურმა კონფედერაციამ მოძმე პროფკავშირული ცენტრალური ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოების დახმარებით. პოუმი არ მიემხრო კანონიერ (კატალონიის) მთავრობას და არ ამხილა თავისი წევრები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებაში. გამოდის რა ამ ორი დებულებიდან, კატალონიის მუშათა საყოველთაო კავშირის აღმასკომი ერთხმად ადგენს დაუყოვნებლივ გაირიცხონ მისი პროფკავშირული ორგანიზაციებიდან პოუმის ის ხელმძღვანელები, რომელთაც აქვთ მუშათა საყოველთაო კავშირის საწევრო ბილეთი, აგრეთვე ზემოხსენებული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის სხვა ის წევრებიც, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს დანაშაულებრივ გამოსვლებში. უნდა გაირიცხონ აგრეთვე ყველა ისინი, ვინც სოლიდარობას უცხადებს კონტრრევოლუციურ მოძრაობას“.

წესრიგის აღდგენა ბარსელონაში

პარიზი, 9 მაისი საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტოს მადრიდიდან ატყობინებენ, ბარსელონიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ კატალონიის დედაქალაქში სწრაფად მიმდინარეობს წესრიგის აღდგენა. ბარსელონის ქუჩებმა ნორმალური სახე მიიღო. აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ საღამოს მოახლოვებისას ქუჩები სწრაფად ცარიელდება. დაწესებულებებსა და ქარხნებში განახლდა ჩვეულებრივი მუშაობა. მხოლოდ ერთ ქუჩაზე საკავალერიო ნაწილმა გაჰფანტა რამდენიმე კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, რომლებიც ისროდნენ იმ მიზეზით, რომ გამოეწვიათ პანიკა ამ კვარტალის მცხოვრებთა შორის. საერთოდ ქალაქში სიწყნარის აღდგენა სწრაფად მიმდინარეობს.

◆

ამხ. ლიტვინოვი პარიზში

პარიზი, 9 მაისი (საქდესი). ლონდონს მიმავალი სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი 7 მაისს პარიზში ჩამოვიდა. გუშინ მან ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი დელბოსი, რომელსაც საათნახევარს ესაუბრა საერთაშორისო პოლიტიკის საერთო საკითხებზე.

◆

უცხოეთის ქრონიკა

○ ბრაზილიის (სამხრეთ-ამერიკა) „საზოგადოებრივი უშიშროების ტრიბუნალმა“ კარლოს პრესტესს მიუსაჯა 16 წლისა და 8 თვის პატიმრობა, ხოლო ევერტს 14 წლისა და 4 თვის პატიმრობა.

○ დომეი ცუსინის სააგენტოს ცნობით, 8 მაისს იაპონიიდან შეერთებულ შტატებში გაიგზავნა ოქროს მორიგი პარტია 16.250 ათასი იენა.

○ შვეიცარიის ათმა „რესპუბლიკური ესპანეთის ბავშვთა დამხმარე საზოგადოებამ“ დაიწყო კამპანია ესპანეთიდან ევაკუირებულ ბავშვთათვის თავშესაფარის აღმოჩენის შესახებ. მაგრამ კანტონის მთავრობამ ესპანელ ბავშვებს შვეიცარიაში შესვლის ნება არ დართო.

○ „საზოგადოებრივი უშიშროების ტრიბუნალმა“ არგენტინის კომპარტიის მდივანს რუდოლფო ჰაულდის მიუსაჯა 4 წლის პატიმრობა.

საბჭოთა კავშირში

რა ნაწარმოებებით ხვდებიან საბჭოთა კომპოზიტორები ოქტომბრის ოცი წლისთავს

მოსკოვი, 10 მაისი (საქდესი). რა ნაწარმოებებით ხვდებიან საბჭოთა კომპოზიტორები დიდი სოციალისტური რევოლუციის ოცი წლისთავს? ამ კითხვას პასუხი გასცა ხელოვნებათა საქმის სრულიად-საკავშირო კომიტეტის მუსიკალური სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. გრინბერგმა მოხსენებაში კომპოზიტორთა და ოპერის თეატრების სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელთა თათბირზე.

კომპოზიტორმა კაბალევსკიმ დაამთავრა მუშაობა ოპერა „კოლა ბრუნიონზე“. ამ ოპერის ლიბრეტო დასწერა ბრაგინმა რომენ როლანის ამავე სახელის ნაწარმოების მოტივების მიხედვით. კომპოზიტორმა სტეპანოვმა დასწერა ოპერა „ბასმაჩები“. კომპოზიტორმა იუროვსკიმ დასწერა ოპერა „ფიქრი ოპანასზე“. ბაგრიცკის პოემის მიხედვით (ლიბრეტო გოროდეცკისა). მზად არის ოპერა „ჟაკერია“ დაწერილი პროფესორ გედიკეს მიერ. კომპოზიტორი ხრენიკოვი სწერს ოპერა „მარტოობას“, რომლის ლიბრეტოც დასწერა ფაიკომ ვირტის რომანის მიხედვით. აბრამსკი მუშაობს ოპერაზე „სიმღერა მეგობრობაზე“ (ლიბრეტო სურკოვისა), ნეჩაევი — ოპერა „ივან ბოლოტნიკოვზე“ და სხვ.

ლენინგრადის კომპოზიტორთა ნაწარმოებებს შორის ცენტრალური ადგილი უკავია ძერჟინსკის ოპერას „გატეხილ ყამირს“. გარდა ამისა ლენინგრადელთა საოპერო ნაწარმოებებს შორის არის „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ ჩიშკოსი, „დეკაბრისტები“ შაპორინისა და სხვ.

მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს ორატორიები, რომელთაც ცალკეული კომპოზიტორები სწერენ.

ხელოვნების საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტი ატარებს დახურულ კონკურსს მასობრივ სიმღერებზე დიადი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის. ამ დღეებში გამოცხადდება ღია კონკურსი სიმღერაზე ოქტომბრის 20 წლისთავისათვის. ცხადდება კონკურსი სალაშქრო მარშზე მუშურ-გლეხური წითელი არმიის ოცი წლისთავისათვის.

9 მაისს კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს ნაწყვეტები ოპერებიდან „მარტოობა“, „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ და „ფიქრი ოპანასზე“ ავტორების შესრულებით, აგრეთვე გოლუბევის „უკრაინული რაფსოდია“.

სამუშაოდ შორეულ აღმოსავლეთის მხარეში

ხაბაროვსკი, 9 მაისი (საქდესი). დღეს გემებით „ჩიჩერინით“ და „კოსარევით“ მოსკოვიდან ჩამოსული ქალიშვილები გაემგზავრნენ თავიანთ ახალ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას — ქალაქ კომსომოლსკში. ქალიშვილებისათვის გამზადებულია ახალი 3-სართულიანი სახლი. მათ მოელით გულთბილი მიღება და საინტერესო, დიდი მუშაობა.

ხტომა მოტოციკლეტით

მოსკოვი, 10 მაისი (საქდესი). საბჭოთა სპორტსმენები გაძლიერებით ემზადებიან მოტოციკლისტობაში სსრ კავშირის პირველობის მომავალ გათამაშებისათვის.

დიდ ინტერესს წარმოადგენენ პირველობის პროგრამაში შეტანილი შეჯიბრებანი მოტოციკლით ხტომაზე. ავტოკლუბების წევრები სისტემატურად იწაფებიან ასეთ ხტომაში. სევასტოპოლელი მოტოციკლისტები პუზანოვი, ვისოკშირსკი, ბუიაჩენკო აკეთებენ ათმეტრიან ნახტომს.

ბრწყინვალე შედეგს მიაღწია ლენინგრადის ავტოკლუბის წევრმა ფილონოვმა. მან გააკეთა მოტოციკლით 14 მეტრზე მეტი ნახტომი.

შობადობის მკვეთრი მატება სსრ კავშირში

მოსკოვი, 9 მაისი (საქდესი). საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან მოდის ახალი ცნობები შობადობის მკვეთრი მატების შესახებ.

5-6 წლის წინათ ახალდაბადებულთა რიცხვი ალმა-ატაში საშუალოდ არ აღემატებოდა 300 ბავშვს ერთ თვეში. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამ ქალაქში დაბადებულთა რიცხვი შეადგენს საშუალოდ 690 ბავშვს თვეში. დამახასიათებელია, რომ 300-ზე მეტი ახალდაბადებულნი არიან მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე შვილი ოჯახში.

შობადობის შესახებ საინტერესო ცნობები შეაგროვა სმოლენსკის საშეანო საავადმყოფომ. მთელი გასული წლის განმავლობაში საავადმყოფოს წიგნში ჩაწერილი იყო 2.782 დაბადება, ხოლო ამა წლის არასრული ოთხი თვის განმავლობაში — 1,134.

გასულ წელთან შედარებით ორჯერ უფრო იმატა შობადობამ ჩელიაბინსკში. პირველ კვარტალში ქალაქის სამშობიარო სახლებში რეგისტრირებულია 3.785 ახალდაბადებული — 2.242-ით მეტი, ვიდრე 1936 წლის იმავე პერიოდში. ივანოვოში, როგორც მთელ ოლქშიც, შობადობის მატების ციფრი არა ნაკლებ საგულისხმოა: ქალაქში პირველ კვარტალში აღნიშნულია 2.778 დაბადება — 806-ით მეტი, ვიდრე გასული წლის იანვარ-მარტში.

ამ წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში ვოლგის გერმანელთა რესპუბლიკაში დაიბადა 10.500 ბავშვი.

ამავე დროს მკვეთრად კლებულობს აბორტების რაოდენობა. ერთი მკაფიო ფაქტი: ამა წლის სამი თვის განმავლობაში აზოვ-შავი ზღვის მხარის მედვედოვის სტანიცაში არ არის რეგისტრირებული არცერთი აბორტი. გასული წლის ამავე თვეების განმავლობაში აქ გაკეთებულ იქნა 118 აბორტი.

კობულეთის ამხ. ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის ორდენოსანი თავმჯდომარე დურსუნ ნაჟარაძე, ჩაის კრეფასა და ნარინჯოვან კულტურათა გაშენება-მოვლაში მოწინავე.

ფოტო. კ. საბახტარაშვილისა.

ახლად შექმნილ მოკავშირე რესპუბლიკათა კომკავშირული ორგანიზაციების შესახებ

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

1. გადაკეთდეს საკ. ალკკ კაზახსტანის სამხარეო ორგანიზაცია კაზახსტანის ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირად და საკ. ალკკ ყირგიზთა საოლქო ორგანიზაცია — ყირგიზთა ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირად.

კაზახსტანისა და ყირგიზთა რესპუბლიკების მომავალ მორიგ კომკავშირულ კრებებზე მოხდეს ამ ორგანიზაციათა ცენტრალური კომიტეტების არჩევნები.

2. ლიკვიდირებულ იქნას საკ. ალკკ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი და საკ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტს უშუალოდ დაუმორჩილდნენ—აზერბეიჯანის ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი და სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

3. შეყვანილ იქნას საკ. ალკკ ყარა-კალპაკიის საოლქო ორგანიზაცია უზბეკისტანის კომკავშირული ორგანიზაციის შემადგენლობაში და ყარა-კალპაკიის საოლქო კომიტეტი უშუალოდ დაუმორჩილდეს უზბეკისტანის ალკკ ცენტრალურ კომიტეტს.

◆

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პლენუმზე

მოსკოვი, 9 მაისი (საქდესი). უკვე რამდენიმე დღეა, რაც პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მეექვსე პლენუმზე მუშაობენ კომისიები.

9 მაისს საღამოს შესდგა პლენარული სხდომა, რომელზედაც იხილავდნენ ინსტრუქციას პროფკავშირთა ორგანოების არჩევნების შესახებ. ინსტრუქცია პლენუმმა ერთხმად მიიღო. პირველ პუნქტში პლენუმი ადგენს, რომ პროფკავშირთა ორგანოების არჩევნები ხდება დახურული (ფარული) კენჭისყრით ცალკეული კანდიდატურების მიხედვით. პროფკავშირთა ორგანოების არჩევისას აკრძალულია კენჭისყრა სიებისათვის.

◆ ◆ ◆

„სიკვდილი ფაშიზმის აგენტებს“

ვალენსია, 9 მაისი (საქდესი). კომპარტიის ორგანო „მუნდო ობრერო“ მოითხოვს დაუნდობლად და დაუყოვნებლივ გაუსწორდნენ იმ გამცემლებს, რომლებმაც პროვოკაციულად გამოიწვიეს გამოსვლები კატალონიის მთავრობის წინააღმდეგ.

გაზეთი ხაზს უსვამს, რომ მთელი ხალხი გარდა ტროცკისტებისა და „უკონტროლო ელემენტებისა“ უყოყმანოდ უჭერს მხარს მთავრობას.

„მუნდო ობრერო“ მოითხოვს ტროცკისტული პოუმის დაუყოვნებლივ დაშლას და მისი ყველა წევრის გარიცხვას საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, ამასთანავე აღნიშნავს, რომ ტროცკისტები იმყოფებიან ფაშისტური გერმანიის სარდლობის სამსახურში და წარმოადგენენ არა მარტო კომპარტიის, არამედ მთელი ესპანელი ხალხის და მსოფლიო პროლეტარიატის მტრებს.

ვალენსიის „ფრენტე როხოს“ (კომპარტიის ორგანო) მოჰყავს ადგილები ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის დიასის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ფაშისტური „მეხუთე კოლონის“ მოსპობა, თუ იმავდროულად არ მოხდა ლიკვიდაცია იმ პოლიტიკურ დაჯგუფებათა, რომელნიც იცავენ „მეხუთე კოლონის“ ლოზუნგებს და რომელთა მიზანიც არის გათიშვის შეტანა ანტიფაშისტურ მასებში.

„კლარიდადი“, ხაზს უსვამს რა მჭიდრო კავშირს პოუმსა და კატალონიის მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების ინიციატორთა შორის, ამბობს, რომ, როდესაც მადრიდის დაცვის კომიტეტმა დაშალა პოუმი დედაქალაქში, მოსახლეობის ყველა ფენა თავდაცვის კომიტეტის მხარეს იყო. გაზეთი აყენებს მოთხოვნას: „სიკვდილი ფაშიზმის აგენტებს!“ „დაუყოვნებლივ დაიშალოს პოუმი — ფაშისტთა ავანპოსტი რესპუბლიკურ ესპანეთში“.

„ინფორმასიონესი“, საღამოს სოციალისტური გაზეთი, აღნიშნავს, რომ კატალონიის ამბებში აშკარად სჩანს გერმანიის გენერალური შტაბის ხელი. ესპანელი ფაშისტები გრძნობენ, რომ ომი წააგეს, სწერს გაზეთი, მაგრამ გერმანიის შტაბს არ სურს აღიაროს ეს და უკანასკნელ იმედს ამყარებს პროვოკაციებზე ზურგში.

გაერთიანებული სოციალისტური ახალგაზრდობის ფედერაციის ორგანო „აორა“ აღნიშნავს, რომ მადრიდის ყველა გაზეთმა ერთსულოვნად დაჰგმო ისინი, რომელთაც ბრალი მიუძღვით კატალონიის ამბებში. გაზეთი აცხადებს: „კატალონიის ამბებში ჩვენ ვხედავთ შეტაკებას ფაშიზმისა, რომელსაც სურს ახალი პოზიციების დაპყრობა და ანტიფაშისტური ძალებისას, რომელნიც რკინის მუშტით დაამსხვრევენ ფაშისტური „მეხუთე კოლონის“, ტროცკისტებისა და უკონტროლო ელემენტების გეგმებს“.

რესპუბლიკელთა დამოუკიდებელი ორგანო „ლიბერტადი“ კატალონიის ამბებს უკავშირებს ფაშისტთა ბუნაგის აღმოჩენას პერუს მადრიდის საკონსულოში და აღნიშნავს, რომ ორივე ეს ფაქტი მოწმობს ფაშისტთა აქტივობას ზურგში.

◆ ◆ ◆

ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტის კომუნიკე

ლონდონი, 9 მაისი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტის კომუნიკეში რომელიც 7 მაისს გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ კომიტეტმა და მის თავმჯდომარესთან არსებულმა ქვეკომისიამ ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მათი სხდომები საიდუმლოდ უნდა ჩატარდეს. სხდომების შემდეგ, როგორც ჩვეულებრივად მიღებულია, გამოქვეყნდება კომუნიკე.

8 მაისს გამოქვეყნებულ კომიტეტის თავმჯდომარესთან არსებული ქვეკომისიის სხდომის შესახებ ნათქვამია, რომ ლორდმა პლიმუტმა შეიტანა წინადადება, რათა ჩაურევლობის კომიტეტმა მოწოდებით მიმართოს რესპუბლიკური ესპანეთის მთავრობას და მეამბოხეებს შესწყვიტოს ორივე მხარემ საჰაერო ბომბარდირება. ქვეკომისიის სხდომის ყველა მონაწილე დათანხმდა წარუდგინოს ეს წინადადება განსახილველად თავის მთავრობებს მათგან ამ საკითხზე მითითებათა მისაღებად.

თბილისის XVI საქალაქო პარტკონფერენციაზე

9 მაისის საღამოს სხდომა

ამ სხდომაზე პირველი გამოდის **ამხ. რაზმაძე** (ტრამვაის ტრესტის დირექტორი). იგი დაწვრილებით ჩერდება ტრამვაის მეურნეობის მდგომარეობაზე, ლაპარაკობს ტრესტის აპარატის დანაგვიანებაზე. ამხ. რაზმაძემ კონფერენციას გააცნო მთელი რიგი ციფრები, რომლებიც მოწმობენ, რომ ტრესტმა გადაჭარბებით შეასრულა საწარმოო დავალებანი. მაგრამ ადგილებიდან მიცემულმა რეპლიკებმა აიძულეს ორატორი აღიარებინა, რომ მაჩვენებელთა რიცხობრივი გადაჭარბება მთელ რიგ შემთხვევებში ხდებოდა ვაგონების შეუწყნარებელი გადატვირთვის, მგზავრთათვის უხერხულობის შექმნის ხარჯზე.

თბილისის აეროპორტის პარტკომის მდივანი ამხ. **აკოპოვი** თავის გამოსვლას მიუძღვნის ამიერკავკასიის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს ყოფილი უფროსის—ხალხის მტრის ურკევიჩის და მისი დამქაშების მავნებლობის შედეგთა ლიკვიდაციის საკითხს. აეროპორტის პარტორგანიზაციამ ვერ გამოიჩინა ბოლშევიკური სიფხიზლე მიუხედავად ცალკეულ კომუნისტთა სიგნალებისა. მას მხედველობიდან გამოეპარა ხალხის მტრები, რომლებიც მისი გვერდით მოქმედებდნენ.

მხოლოდ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხ. **ბერიას** ჩარევამ მოგვცა საშუალება გაგვეხსნა აეროპორტში მავნებლობის ბინძური კვანძი.

ამხ. **ჯვარიძემ** (მაუდის ფაბრიკის პარტკომის მდივანი) უამბო კონფერენციის დელეგატებს მაუდის ფაბრიკაში პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებზე.

როდესაც პოლიტსწავლებაზე ლაპარაკობდა, ამხ. ჯვარიძემ აღნიშნა, რომ წრეებში კომუნისტთა რიცხობრივი ჩაბმისადმი გამოდევნების გამო ფაბრიკის პარტორგანიზაციას მხედველობიდან გამორჩა მეცადინეობის ხარისხის საკითხი, მსმენელთა მიერ იმ თემების შეთვისების საკითხი, რომლებსაც ისინი სწავლობდნენ.

შემდეგ გამოდის ამხ. **ბოიაჯანი**—სხჰ. ავტოტრესტის პირველი ბაზის პარტკომის მდივანი, რომელიც ჩერდება თავისი ორგანიზაციის პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

როგორც თბილისის ავტომატური სატელეფონო ქსელის პარტიული ორგანიზაციის ყოფილმა მდივანმა, ამხ. ბოიაჯანმა გააცნო კონფერენციას მთელი რიგი ფაქტები, თუ როგორ უკანონოდ ხარჯავდნენ სახსრებს, კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში ამხ. უჩანეიშვილი და მისი მოადგილე ამხ. აბდალაძე. ათი ათასობით მანეთი დახარჯეს მათ იმ ადამიანთა ბინების შესაკეთებლად, რომლებიც არც კი მუშაობდნენ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში. ავტომატური სატელეფონო სადგურის მუშაობის პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც ტელეფონის დადგმისათვის პირდაპირ ქრთამებს იღებდნენ აბონენტ დაწესებულებებისაგან.

ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გაბარაშვილი** თავის გამოსვლაში აღიარებს მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს რაიონული საბჭოს და მისი პრეზიდიუმის მუშაობაში. რაისაბჭო სუსტად აწარმოებს მასობრივ მუშაობას, სუსტად მუშაობენ სექციები, დეპუტატთა ჯგუფები. ამხ. გაბარაშვილი ლაპარაკობს კოოპტაციის მთელ რიგ შემთხვევებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა რაისაბჭოს მუშაობის პრაქტიკაში.

სარეწაო საბჭოს პარტკომის მდივანმა ამხ. **ი. მაისურაძემ** სთქვა, რომ პარტორგანიზაციაში ბოლშევიკური სიფხიზლის მოდუნების შედეგად, სარეწაო საბჭოში მოიკალათეს კონტრრევოლუციონერმა ტროცკისტებმა, რომლებიც ანიავებდნენ და იტაცებდნენ სახელმწიფო სახსრებს.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და პრესის განყოფილების გამგე ამხ. **დემეტრაძე** თავის გამოსვლაში ჩერდება ბოლშევიზმის დაუფლების ლოზუნგის რეალიზაციის საკითხებზე.

— ჩვენ,—ამბობს ამხ. დემეტრაძე,—არასაკმაოდ ვანხორციელებთ საკუთარ გადაწყვეტილებებს პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და პრესის საკითხებზე. ჯერ კიდევ სრულიად არასაკმაოა პარტიის თბილისის კომიტეტის პარტპროპაგანდის, აგიტაციისა და პრესის განყოფილების დახმარება რაიონული კომიტეტებისა და პირველადი ორგანიზაციებისადმი.

შარშან ზაფხულის თვეებში პარტიული სწავლება რამდენადმე იკვეცებოდა. მიმდინარე წელს ამის დაშვება შეუძლებელია. პარტიული განათლების სკოლები და წრეები შეუფერხებლად უნდა მუშაობდნენ.

საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **გუდავაძემ** თავის გამოსვლაში გააკრიტიკა კომკავშირული ორგანიზაციების სუსტი მუშაობა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მუშაობის ამ მნიშვნელოვან დარგს საქ. ალკკ თბილისის კომიტეტიც და რაიკომებიც. ამავე დროს თბილისის ყველა კომკავშირელთა ორმოცდაათი პროცენტი — მოსწავლეებია.

ამხ. გუდავაძემ მოიყვანა იმის ფაქტები, თუ როგორ უხეშად არღვევდნენ თბილისის კომკავშირულ ორგანიზაციაში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებს. ცოტა როდია კოოპტაციის, კომკავშირული კომიტეტების მდივანთა დანიშვნის ფაქტები (26 სახელობის ქარხანა, თამბაქოს ფაბრიკა, სახკინმრეწვი და ა. შ.).

ტრიბუნაზე ადის **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხნის სტახანოველი ორდენოსანი ამხ. ხალიაპინი. იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ გაიზარდა ქარხნის კომუნისტთა აქტივობა. საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გამოდიოდნენ ისეთი ამხანაგებიც, რომლებიც წლობით სდუმდნენ ყველა კრებაზე.

სამართლიანად გააკრიტიკა ამხ. ხალიაპინმა პარტიის ლენინის რაიკომი. რაიკომის მუშაკებს, საგზაო პოლიტგანყოფილების მოწყობის შემდეგ, აღარ აინტერესებდათ ქარხანა, რომელსაც ამავე დროს გარღვევა ჰქონდა და რომელშიაც მოქმედებდნენ ტროცკისტი მავნებლები.

შემდეგ ამხ. ხალიაპინი აკრიტიკებს თბილისის და ლენინის რაიონული საბჭოების მუშაობას, მიუთითებს რა რაიონის კომუნალურ მეურნეობაში არსებულ მთელ რიგ უმსგავსოებებზე.

შემდეგ გამოდის თბილისის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ნიორაძე**, რომელმაც აღიარა, რომ კონფერენციაზე სწორად იქნა გაკრიტიკებული თბილისის საბჭოს და მისი პრეზიდიუმის მუშაობა.

შემდეგ კამათში სიტყვა ეძლევა პარტიის ლენინის რაიკომის მეორე მდივანს ამხ. **კოპლატაძეს**.

იგი აღნიშნავს რაიკომის არადამაკმაყოფილებელ მუშაობას პარტიული კადრების აღზრდის მხრივ.

ამხ. კოპლატაძე კონფერენციის ყურადღებას მიაქცევს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აგიტაციის საქმის დაყენებას ეგრეთწოდებული არაორგანიზებული მოსახლეობის შორის.

შემდეგ გამოვიდა ამხ. **კირიჩუკი** (ტყავის ქარხანა №1). მის შემდეგ გამოსულმა **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხნის პარტკომის მდივანმა ამხ. **ჩუბინიძემ** თავის გამოსვლაში ილაპარაკა ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ამოცანებზე მავნებლობის შედეგთა სასწრაფო ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში.

კონფერენციის ამ სხდომაზე კამათში უკანასკნელი გამოვიდა საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. **მეტონიძე**, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და თბილისის რაიონული სასამართლოების მუშაობა.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანოები დანაგვიანებული იყო კონტრრევოლუციონერი ტროცკისტებით. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას არ გამოუჩენია სათანადო სიფხიზლე მათ გამოსამჟღავნებლად.

ამხ. მეტონიძე ამბობს, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ბოლქვაძე ვერ ხედავდა ხალხის მტრებს, რომლებმაც იუსტიციის ორგანოებში მოიკალათეს, იგი ობიექტურად მხარს უჭერდა ამ კონტრრევოლუციონერებს. ბოლქვაძე დღემდე არ გამოსულა და არაფერი უთქვამს პარტიისათვის, თუ რა კავშირი ჰქონდა მას კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებთან.

ამხ. მეტონიძეს მოჰყავს მთელი თბილისის რაიონული სასამართლოების, განსაკუთრებით კიროვის რაიონის სასამართლოს, ცალკეულ მუშაკთა დანაშაულებრივი დაუდევრობის მთელი რიგი ფაქტები. ვერც იუსტიციის სახალხო კომისარიატმა ვერც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველჰყვეს ქმედი კონტროლი სახალხო სასამართლოების მუშაობისადმი.

10 მაისის დილის სხდომა

10 მაისის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი.

ამხ. **კარაპეტიანი** — ავტო-სარემონტო ქარხნის პარტკომის მდივანი ლაპარაკობს ხალხის მტრის—ტროცკისტ ოდილავაძის მავნებლურ მუშაობაზე ქარხანაში. დიდხანს—მშენებლობის პერიოდში და ქარხნის ექსპლოატაციის პერიოდშიც, სარგებლობდა რა პარტიული ორგანიზაციის უდარდელობით, პოლიტიკური სიბეცით, ტროცკისტი მავნებელი ოდილავაძე აკეთებდა თავის საზიზღარ საქმეს.

შემდეგ გამოდის ამხ. **ზიბზიბაძე**—კიროვის რაიკომის მეორე მდივანი. იგი ლაპარაკობს პარტორგანიზაციისა და რაიკომის მუშაობის იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც გამოაშკარავებულ იქნა საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და რაიონის პარტკონფერენციაზე და, უმთავრესად, მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციების სიფხიზლის მოდუნებაზე. სიფხიზლის მოდუნების შედეგად ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატში ისხდნენ ტროცკისტი მავნებლები. გ. კურულოვს და თ. ულენტს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ზოგიერთ ამჟამად გამომჟღავნებულ ტროცკისტებთან, მაგრამ ისინი არსებითად სდუმან, ბოლომდე არ აღიარებენ თავიანთ შეცდომებს.

შემდეგ გამოვიდა ამხ. **როკუა**—ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მესამე მდივანი—რომელიც ლაპარაკობს, რომ სამედიცინო ინსტიტუტის პარტორგანიზაციის მუშაობას მრავალი ნაკლი აქვს. აქ დიდხანს იყო გამეფებული მლიქვნელობა, შინაურულობა, თვითკრიტიკის ჩახშობა. არასაკმაოა კომუნისტთა ავანგარდული როლი სწავლაში. ამხ. როკუა კონფერენციის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ კომკავშირის რაიკომი სუსტ ხელმძღვანელობას უწევს უმაღლეს სასწავლებელთა კომკავშირულ პირველადს ორგანიზაციებს.

განსახკომის მუშაობის ნაკლოვანებებზე დაწვრილებით შეჩერდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარი ამხ. **ჭკუასელი**.

ამხ. **ჩერნიკოვი** — ფეხსაცმელის ახალი ფაბრიკის პარტკომის მდივანი—ლაპარაკობს ფაბრიკაში პარტიული პროპაგანდის დაყენებაზე. უკანასკნელ დროს პოლიტწრეების რიცხვი 5-დან 8-დე გაიზარდა, გამოიზარდნენ საკუთარი პროპაგანდისტები. უხეში შეცდომების დაშვებისათვის პარტკომმა პროპაგანდისტული მუშაობიდან მოხსნა 3 კომუნისტი.

სამოქალაქო პარტორგანიზაციებთან საარმიო პარტიული ორგანიზაციების სუსტი კავშირის შესახებ ლაპარაკობს ამხ. **რამაზოვი** (არმია).

შემდეგ გამოდის ამხ. **კარანაძე**—სტალინის რაიკომის მდივანი. იგი დაწვრილებით ლაპარაკობს, რომ ფართოდ გაიშალა თვითკრიტიკა საანგარიშო - საარჩევნო კრებებზე პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში და რაიონულ პარტკონფერენციაზე. რაიონში 127 პირველადი პარტორგანიზაციიდან 32 ორგანიზაციაში მუშაობა შეფასებულია როგორც არადამაკმაყოფილებელი. იმ ორგანიზაციებს შორის, რომელთა მუშაობაც არადამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი, უმრავლესობას შეადგენენ მცირერიცხოვანი ორგანიზაციები. ეს იმას მოწმობს, რომ რაიკომი ყოველდღიურ დახმარებას არ უწევდა მცირერიცხოვან ორგანიზაციებს. 32 პირველადს ორგანიზაციაში კომუნისტებმა აირჩიეს პარტკომების ახალი მდივნები და პარტორგები.

პარტიის წინაშე დასახულ ახალ ამოცანებთან დაკავშირებით საჭიროა კიდევ უფრო მეტად გავაძლიეროთ ყურადღება პარტიის წევრთა იდეურ-პოლიტიკური შეიარაღების საკითხებისადმი. ამ საქმეზე ჩვენ სუსტად ვმუშაობდით—ამბობს ამხ. კარანაძე. მეცადინეობაზე დასწრებამ იმატა, მაგრამ პოლიტმეცადინეობის ხარისხი ბევრ შემთხვევაში დაბალია.

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გ. სტურუა** თავის გამოსვლაში ლაპარაკობს, რომ კონფერენციაზე საკმაოდ არ აღუნიშნავთ პროფკავშირთა მუშაობის ნაკლოვანებანი. ბევრი პარტიული ორგანიზაცია ცუდად ხელმძღვანელობს, ცუდად ეხმარება პროფორგანიზაციებს. ჩვენი პროფკავშირული ორგანოები ძალიან ხშირად უშვებენ პროფკავშირული დემოკრატიის დარღვევას.

შემდეგ ამხ. სტურუამ ილაპარაკა იმაზე, რომ პარტორგანიზაციები ამხ. მათიკაშვილისაგან, თ. ელენტისაგან, გ. ყურულოვისაგან, ა. ფირცხალავასაგან მოითხოვენ, რათა მათ ბოლომდე აღიარონ თავიანთი შეცდომები, პატიოსნად მოუთხრონ პარტიას, თუ რა კავშირი ჰქონდათ მათ გამომჟღავნებულ კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებთან.

კამათში ჩაწერილი 102 კაციდან თბილისის კომიტეტის ანგარიშის გამო გამოვიდა 40 დელეგატი. შემოვიდა წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ. ხმების უმრავლესობით კამათი სწყდება.

შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. **გრ. არუთინოვი**.

ამხ. არუთინოვი შეჩერდა შინამრეწველთა შორის პარტორგანიზაციათა მუშაობის გაძლიერების საკითხებზე, პროპაგანდისტული მუშაობის ხარისხის ამაღლების ამოცანებზე, პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერებაზე.

კონფერენციამ თბილისის კომიტეტის მუშაობა ერთხმად აღიარა დამაკმაყოფილებლად. კონფერენციამ დაამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში.

შემდეგ მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის ანგარიში (ამხ. ნიორაძე).

ხანგრძლივი ტაშით, მქუხარე ოვაციით შეხვდნენ დელეგატები ცნობას, რომ თბილისის პარტკონფერენციის პირველ დელეგატად არჩეულია ამხანაგი **სტალინი**.

სულ კონფერენციაზე არჩეულია 592 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 62—სათათბირო ხმით.

დელეგატთა შემადგენლობაში 50 ქალია. დელეგატებს შორის არის 54 კაცი, რომლებიც დაჯილდოვებული არიან ორდენებით.

კონფერენციაზე პირველად არის არჩეული გადამწყვეტი ხმით 293 დელეგატი ანუ 52,1 პროცენტი, სათათბირო ხმით—50 დელეგატი.

კონფერენციამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის ანგარიში.

რაიონული პარტიული კონფერენციები

თელავი

3 მაისს გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) თელავის ორგანიზაციის V სარაიონო კონფერენცია.

საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. კარსანიძე.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების უხეშ დამახინჯებას რაიონის პარტორგანიზაციებში და აღნიშნა, რომ ეს დამახინჯებები, რომლებიც დაშვებული იყო პირველადს პარტორგანიზაციებში, გამოწვეული იყო რაიკომის მიზეზითაც, რაც დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოსწორდა.

კამათი გაიშალა ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ. მოკამათენი მკაცრად აკრიტიკებდნენ იმ დამახინჯებებს და ნაკლს, რაც არსებობდა თელავის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში.

კამათი დამთავრდა 5 მაისს დილის სხდომაზე. კამათში სულ ჩაწერილი იყო 47 დელეგატი, ილაპარაკა 43 დელეგატმა.

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და დაამტკიცა რაიკომის სარევიზიო კომისიის მოხსენება.

ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნა პლენუმი 35 წევრისა და 7 კანდიდატის შემადგენლობით.

ამავე სხდომაზე მოხდა საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევა. არჩეულ იქნა 8 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 1 სათათბიროთი.

7 მაისს შესდგა ახლად არჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა ფარული კენჭისყრით აირჩია რაიკომის ბიურო 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ს. კარსანიძე, მეორე მდივნად ამხ. არ. გიორგაძე.

არ. კოკილაშვილი

ზუგდიდი

საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის პლენუმი

ზუგდიდი, 9 მაისი (საქდესი). პარტიის ზუგდიდის რაიკომის პლენუმმა ფარული კენჭისყრით აირჩია რაიკომის ბიურო 7 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს ამხ. ი. გვასალია, მეორე მდივნად—ამხ. გ. დემურია, მესამე მდივნად—პ. ქებურია.

ზემო - სვანეთი

მესტია, 8 მაისი (საქდესი). სამ დღეს მუშაობდა ზემო-სვანეთის პარტიული ორგანიზაციის კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 35 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 19 დელეგატი სათათბირო ხმით.

საანგარიშო მოხსენებით საქართველოს კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომის მუშაობის შესახებ გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. ალ. წიფურია.

კამათმა ამხ. წიფურიას მოხსენების ირგვლივ ჩაიარა მუშაობის ნაკლთა ჯანსაღი ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით.

კამათში გამოსული ამხანაგები ლაპარაკობდნენ სერიოზულ დეფექტებზე რაიკომის მუშაობაში. რაიკომი გაიტაცა სამეურნეო საკითხებმა—გზის მშენებლობამ, მოსახლეობის მასობრივმა შერიგებამ და დაივიწყა პარტიული მუშაობა. ბევრ პირველადს ორგანიზაციაში ცუდად ემზადებოდნენ პარტიული კრებებისათვის, სუსტად მუშაობს პარტიული განათლების ქსელი. რაიკომის შტატის პროპაგანდისტები და ინსტრუქტორები ცუდად ეხმარებოდნენ პირველადს ორგანიზაციებსა და პოლიტსკოლებს, ცუდად მუშაობდა რაიკომის პარტკაბინეტიც. თანამგრძნობთა ჯგუფები მოწყობილი იყო მხოლოდ ორ ადგილას (ცანა, ხაიში), მაგრამ თანამგრძნობებთან საჭირო მუშაობა არ ტარდებოდა.

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი შემდგომი მუშაობისათვის.

შემდეგ დაიწყო არჩევნები. ფარული კენჭისყრით არჩეულია რაიკომის პლენუმი 17 კაცის შემადგენლობით და 5 კანდიდატი.

○

საქ. კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომის პირველმა პლენუმმა ფარული კენჭისყრით აირჩია ბიურო 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით. პარტიის ზემო-სვანეთის რაიკომის მდივნად ფარული კენჭისყრით ერთხმად იქნა არჩეული ამხ. ალ. წიფურია.

ბოგდანოვკა

პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პლენუმი

ბოგდანოვკა, 8 მაისი (საქდესი). შესდგა პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი პლენუმი. ფარული კენჭისყრით პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ა. კარნიცკი და მეორე მდივნად—ამხ. კირაკოსიანი.

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმში

7 მაისს შესდგა სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომა.

თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა სხდომის გახსნის შემდეგ ორდენები გადასცა წითელი არმიის მეთაურთა დიდ ჯგუფს. მათი სახელით ბრიგადის მეთაური პეტროვი მოკლე სიტყვაში აცხადებს სოციალისტური სამშობლოს მედგარ დამცველთა საბრძოლო ვალდებულებას —კიდევ უფრო განამტკიცონ საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერება.

შემდეგ ორდენები მიიღეს „პრავდის" სარედაქციო კოლეგიის წევრმა ამხ. მეხლისმა, გაზეთ „პრავდის" სტალინის სახ. სტამბის მუშებმა და ხელმძღვანელებმა.

— პრავდისტები,—აცხადებს თავის სიტყვაში ამხ. მეხლისი,—გაამართლებენ პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ნდობას. ჩვენ სიტყვას ვიძლევით, რომ ვიქნებით სტალინური სნაიპერები იდეოლოგიურ ფრონტზე. თუ გარემოება მოითხოვს, ჩვენ კალამს შაშხანაზე შევცვლით და ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმიის პირველ რიგებში ვიქნებით.

სტალინის სახ. სტამბის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის სახელით გამოვიდა სტამბის დირექტორი ამხ. სემიონოვი.

მხურვალე ტაში გაისმა დარბაზში, როდესაც ამხ. კალინინთან მივიდნენ მოსკოვის გორკის სახ. სამხატვრო აკადემიური თეატრის მუშაკები სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს მეთაურობით. ამხ. კალინინმა ამ დელეგაციას გადასცა ლენინის ორდენი, რომლითაც დაჯილდოვებულია მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი და გულთბილად მიულოცა დაჯილდოვება თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებს.

მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის კოლექტივისაგან ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკომ, სხვათა შორის, სთქვა:

რევოლუციის წინ თეატრი გზაჯვარედინზე იმყოფებოდა. როდესაც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მოხდა, თეატრს არ მიუღია იგი ერთბაშად, ვერ შესძლო მთელი თავისი მხატვრული და სულიერი არსებით მოეცვა ის უდიდესი ამოცანები, რომლებიც რევოლუციამ მოიტანა. საჭირო იყო ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა არაჩვეულებრივი გამჭრიახობა, რომ თეატრი დარჩენილიყო, მისცემოდა მას შესაძლებლობა შემდგომი განვითარებისათვის. რა პირობები გჭირდებათ თქვენ—მატერიალური? აი, მატერიალური პირობები. თქვენ გჭირდებათ დრო, რადგან თქვენ შეეჩვიეთ მოფიქრებულ და სერიოზულ მუშაობას? აი დრო. თქვენ გეშინიათ აგიტკის, პლაკატის? ნუ დადგამთ მათ, გააკეთეთ ის, რასაც თქვენ მხატვრული სინიდისი გკარნახებთ, იმუშავეთ დადგმაზე მანამდე, სანამ არ დაინახავთ, რომ იგი სავსებით მზადაა.

ამ შესაძლებლობებით თეატრი წელში გასწორდა, ნამდვილ რელსებზე დადგა და შეინარჩუნა არა მარტო ძველი მხატვრული ღირებულებანი, არამედ შეისისხლხორცა სოციალისტური წყობილების საუკეთესო იდეებიც.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ უკანასკნელი დადგმებიდან ორი უდიდესი დადგმა შთაგვაგონა ამხანაგმა სტალინმა. ეს იყო „მტრები" და „ლიუბოვ იაროვაია".

ჩვენ ამჟამად მივედით ისეთ მდგომარეობამდე, როდესაც თეატრი უკვე ას [illegible] ისტორია. და ახლა ჩვენ მხოლოდ ველით ისეთ დრამატურგიულ ნაწარმოებს, რომლებშიც შესაძლებელი იქნება გამოიხატოს ჩვენი კოლექტივის ნიჭი და ის გრძნობა, რომელსაც განვიცდით ჩვენ, როგორც პირველი რუსული ორდენოსანი თეატრი.

ჩვენს წინაშე ნათელი გზაა—სოციალისტური რეალიზმი, ღრმა მხატვრული გემოვნება, ჩვენი თეატრის ამ საუკეთესო ტრადიციების გამოყენება, რომლებიც დაგროვდა მისი არსებობის მანძილზე.

ეს ზრდა ერთადერთი ნამდვილი, სწორი გზაა. და ჩვენ ვიძლევით ერთ დაპირებას: ვიაროთ ამ გზით პატიოსნად და მით გადავუხადოთ მადლობა მთავრობას, რომელმაც ეს მაღალი ჯილდო მოგვცა.

შემდეგ ორდენებს ღებულობენ მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის კოლექტივის ცალკეული წარმომადგენლები—ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო, კაჩალოვი, მოსკვინი, ლეონიდოვი, კნიპერ-ჩეხოვა, ხმელევი, ტარასოვა, დობრონრავოვი, შევჩენკო, ლილინა და სხვები.

სცენის დაჯილდოვებულ ოსტატთა შორის არის სამხატვრო თეატრის მსახიობთა არა მარტო ძველი თაობა, არამედ აქტიორთა მეორე თაობაც. რუსული თეატრის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილი, იგი გვაძლევს თეატრალური ხელოვნების ნიმუშებს. და ამ თაობის სახელით სიტყვას ამბობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნ. პ. ხმელევი.

გადასცა რა წითელი დროშის ორდენები წითელი არმიის ყოფილ მეომრებს, რომელთაც თავი ისახელეს სამოქალაქო ომის წლებში, ამხ. ბალოდსა და რუმიანცევს, ამხ. კალინინმა დაჯილდოვებულთ მიმართა სიტყვით.

მ. ი. კალინინის სიტყვა

ჩვენ გვიყვარს წითელი არმია და გვიყვარს არა შემთხვევით,—ამბობს მ. ი. კალინინი. და როდესაც მის მეომრებს აჯილდოვებენ მათი მამაცური საქმეებისათვის, ეს დაჯილდოვება ახარებთ არა მარტო თვითონ მეომრებს, არა მარტო იმ ნაწილს, სადაც ისინი მსახურობენ. არამედ ახარებს საბჭოთა კავშირის მთელ პატიოსან ხალხს, ვინაიდან ეს ჯილდო მოწმობს ჩვენი წითელი არმიის ძლიერებისა და სიმამაცის ზრდას. ამიტომ ნება მიბოძეთ პირველი სალამი გადავცე ჩვენი წითელი არმიის ყველა დაჯილდოვებულ მეომარს და იმათ, ვინც მიიღო ჯილდო საბრძოლო გმირობისათვის (**მქუხარე ტაში**).

ჩვენ დღეს ვაჯილდოვებთ აგრეთვე „პრავდის" მუშაკებს. „პრავდა" ისეთი იარაღია, რომელსაც თვითეული კომუნისტი განსაკუთრებით უფრთხილდება და არ შეუძლიან არ უფრთხილდებოდეს. ამხანაგებო, ჩვენს ქვეყანაში ხომ მუშათა კლასი არის ხელისუფლების სათავეში, მან მოიპოვა ეს ხელისუფლება. თუ თქვენ ზერელედ გადაჰხედავთ პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების მოპოვების ისტორიას, თქვენ დაინახავთ მხოლოდ გაფიცვებს, შეტაკებებს, სისხლისღვრას და, ბოლოს, ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. მაგრამ ეს იქნება წმინდა გარეგანი ისტორია, რომლის უკან იმალება უაღრესად დაძაბული იდეური ბრძოლა. მასები ხომ იმიტომ სწირავდნენ თავის სიცოცხლეს, ყოველივე ძვირფასს, რაც ადამიანს მოეპოვება, რომ ისინი იცავდნენ იმ იდეებს, რომელთა ცხოვრებაში გატარება ისტორიამ პროლეტარიატს არგუნა.

„პრავდა" არის ის ორგანო, რომელიც 25 წლის განმავლობაში ანათლებდა პროლეტარიატს, ამჭიდროებდა მას, რაზმავდა, მასებთან ერთად იბრძოდა ამ იდეების განსახორციელებლად. რომ მოინახოს მხატვარი, რომელიც თავისი მასშტაბით შექსპირთან ახლოს იდგება, იგი შესძლებდა განსაკუთრებით ნათელი ფერებით ეჩვენებინა ისტორია ამ ბრძოლისა, სადაც ათასობით ადამიანები დაიღუპნენ მაღალი იდეალებისათვის ბრძოლაში. რა შეიძლება იყოს უფრო კეთილშობილური, უფრო პატიოსანი, ვიდრე რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლა, რომლის ხელმძღვანელობაში ესოდენ დიდ მონაწილეობას იღებდა „პრავდა"?!

სავსებით ბუნებრივია, რომ „პრავდის" დაჯილდოვება ჩვენი საერთო დღესასწაულია. მე სულითა და გულით მივესალმები და უაღრესად გულწრფელად ვულოცავ „პრავდის" ხელმძღვანელს ამხ. მეხლისს (**მქუხარე ტაში**) და ყველა იმ მუშაკს, რომლებიც ჰქმნიან, ბეჭდავენ და ავრცელებენ „პრავდას".

დაჯილდოვებულთა მესამე ჯგუფი არის მოსკოვის სამხატვრო თეატრი, მისი მუშაკები. ისინი დააჯილდოვეს როგორც რუსული ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები. მოსკოვის სამხატვრო თეატრის დახასიათება ზედმეტია, მას ყველა იცნობს, ისინიც კი, ვინც თეატრში არ დადიან.

მე მგონია, რომ ეს ჯილდო საყოველთაო-სახალხო ჯილდოა. ძველ დროში ადამიანები, რა თქმა უნდა, დადიოდნენ თეატრში, ბევრი ძალიან ხშირადაც დადიოდა, აფასებდნენ, ტაშს უკრავდნენ და ყვავილებს სთავაზობდნენ გამოჩენილ არტისტებს, მომღერლებს, მუსიკოსებს. მაგრამ მაინც ის ურთიერთობა, რომელიც დამყარდა საბჭოთა საზოგადოებასა, საბჭოთა მთავრობასა და თეატრს შორის—წინათ არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენში, საბჭოთა სახელმწიფოში, თეატრი არის მასების განათლების მძლავრი ფაქტორი, თეატრი შედის შემადგენელ ნაწილად მასების განათლების საქმეში, მასებს შორის კულტურის დანერგვის საქმეში. აი რატომ ეკიდებიან ასე სერიოზულად თეატრს მთავრობა და პარტია.

მე სულითა და გულით მოგილოცავთ თქვენ, ამხანაგებო, მაღალ ჯილდოს. ეს ჯილდო მოისწავებს, რომ სამხატვრო თეატრს აქვს წარმატებანი და ამ მხრივ კვალდაკვალ მიჰყვება ჩვენს ხალხს.

მაგრამ მე მგონია, რომ ის წარმატებანი, რომელნიც თქვენ ამჟამად გაქვთ, მხოლოდ დასაწყისია. სწორად სთქვა ნემიროვიჩ-დანჩენკომ, რომ თეატრი ელის უდიდეს დრამატურგს, უდიდეს ნაწარმოებს. მაგრამ თქვენ, როგორც დიდმა კულტურულმა ძალამ, წინ უნდა წასწიოთ ეს საქმე. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ასეთი მხატვრული ნაწარმოები გამოჩნდებიან და მათი გამოჩენის დრო არც ისე შორსაა.

ერთხელ კიდევ ვულოცავ სამხატვრო თეატრს წარმატებებს და იმედი მაქვს, რომ უახლოეს წლებში ამ წარმატებებს ისინი გაამრავლებენ. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

○

ამავე სხდომაზე ცაკის პრეზიდიუმმა განიხილა ჩერნიგოვის ოლქის საბჭოების მუშაობის საკითხი.

ინფორმაციით გამოვიდნენ ჩერნიგოვის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კოსიაჩი; ბოროზნიანსკის რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ცუკერმანი, ამ რაიონის ოლენევსკის და ნიკოლაევსკის სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები ამხ. ილიუშჩენკო და სელივანოვი, საბჭოების VII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის დეპუტატთა ჯგუფის თავმჯდომარე ამხ. კლიმენკო, ჩერნიგოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. სიგირიაკ-ტურეცკი, ცაკის პრეზიდიუმის ინსტრუქტორები ამხ. ბაბინცევი და დომბროვსკი.

დასკვნა, რომელიც გამოყვანილ უნდა იქნას ყველა ინფორმაციიდან, ისეთია, რომ მშრომელთა უდიდესი პოლიტიკური აქტივობა, გამოწვეული სტალინური კონსტიტუციით, სუსტად გაიზიარეს ჩერნიგოვის ოლქის საბჭოებმა. მობრუნება საბჭოების მუშაობაში მეტად უმნიშვნელოა.

საბჭოების მუშაობაში წინანდებურად აქვს ადგილი დიდ ნაკლოვანებებს, არის კონსტიტუციისა და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეში დარღვევის შემთხვევები.

ჩერნიგოვის ოლქის საბჭოების სექციების უმეტესობა არ მუშაობს. ახალ აქტივს არ აბამენ მუშაობაში. ეს შეეხება არა მარტო სოფელს, არამედ ქალაქსაც.

ცაკის პრეზიდიუმმა შეჰქმნა სპეციალური კომისია ამხ. კილატოვის თავმჯდომარეობით ამ საკითხზე დადგენილების დასამუშავებლად.

მანჯოუგოს ადმინისტრაციული რეფორმა

ტოკიო, 9 მაისი (საქდესი). გაზეთებს მოჰყავს დომეი ცუსინის სააგენტოს ჩანჩუნელი კორესპონდენტის ცნობა, რომ „მანჯოუგოში შემოღებულია შორს მიმავალი ადმინისტრატიული რეფორმა". ამ რეფორმის შესახებ მანჯოუგომ გამოაცხადა 8 მაისს. რეფორმა ძალაში შედის 1 ივლისიდან.

მანჯოუგოს მთელი მთავრობა, ამ რეფორმის მიხედვით, შესდგება მარტო პრემიერისაგან, ხოლო ამჟამად არსებული სამინისტროები გადაკეთდება „ბიუროებად", ან „დეპარტამენტებად", რომელთა უფროსები უშუალოდ დაემორჩილებიან პრემიერს. ამას გარდა, აღნიშნავს კორესპონდენტი, საგრძნობლად გაძლიერდა როლი „საერთო საქმეთა ბიუროს უფროსისა", რომელიც, გამოდის რა, როგორც „პრემიერთან არსებული შტაბის უფროსი", ფაქტიურად განახორციელებს ყველა ბიუროსა და დეპარტამენტის ხელმძღვანელობას. რეფორმა ითვალისწინებს აგრეთვე, რომ შეიქმნას „საგეგმო საბჭო პრემიერთან", რომელიც აგრეთვე განაგებს „საყოველთაო მობილიზაციის ყველა საკითხს". რეფორმა შემდეგ ითვალისწინებს არმიის და პოლიციის აპარატის გაერთიანებას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ადმინისტრატიულ რეფორმას წინ უძღოდა „მანჯოუგოს მთელი მრეწველობის სახელმწიფო კონტროლის" შემოღება 1 მაისიდან, გარდა წვრილი მრეწველობისა. გაზეთი „ასახი", კომენტარიებს უკეთებს რა მანჯოუგოს მრეწველობის სახელმწიფო კონტროლის შემოღებას, აღნიშნავს, რომ ეს სისტემა არსებითად წარმოადგენს ცდას მოახდინონ რეალიზაცია „ნახევრად ომიანობის დროის ეკონომიური ორგანიზაციების გეგმა", რის შესახებაც ასე ბევრს ლაპარაკობენ თვით იაპონიაში.

◇ ◇ ◇

ტოკიოს მუნიციპალიტეტის წევრის კობაიასის დაპატიმრება

ტოკიო, 9 მაისი (საქდესი). გაზეთ „კოკუმინის" ცნობით, პოლიციამ 7 მაისს დააპატიმრა ტოკიოს მუნიციპალიტეტის წევრი სიაკაი ტაისიუტოს პარტიის დელეგატი კობაიასი. გაზეთის სიტყვით, კობაიასი საპყრობილიდან გამოვიდა მხოლოდ გასული წლის ნოემბერში და ახლა კვლავ დაპატიმრებულია იმის გამო, რომ აბრალებენ ტოკიოს მუნიციპალურ ტრანსპორტელთა გაფიცვის მოწყობას.

მეამბოხენი ინგლისის კაპიტალისტების კონფისკაციას ახდენენ

ლონდონი, 9 მაისი (საქდესი). (ტელეგრაფით „იზვესტიის" საკ. კორესპონდენტისაგან). გენერალმა ფრანკომ კონფისკაცია უყო ინგლისის კაპიტალებს — 100 ათას გირვანქა სტერლინგს და დაპირებას იძლევა, რომ იგი ამ კაპიტალს დააბრუნებს ომის დამთავრების შემდეგ. ლონდონელ ხილის ვაჭრებს მთელ რიგ წლების მანძილზე განუწყვეტლივ შეჰქონდათ სხვადასხვა თანხა კანარის კუნძულების მებოსტნეებისა და მებაღეებისათვის სეზონის დასაწყისში,- რაც ამ უკანასკნელთ უადვილებდა მუშების ხელფასის გასტუმრებას ხილისა და ბოსტნეულის აღების დროს. შემდეგ მებაღეები და მებოსტნეები ლონდონში გზავნიდნენ თავის პროდუქციას, ვიდრე მათთვის მიცემული კრედიტი არ ამოიწურებოდა. ფრანკომ განაცხადა, რომ წელს შეტანილი 100 ათასი გირვანქა სტერლინგი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც კრედიტი, და რომ ხილის შემდგომი მიწოდება მოხდება მხოლოდ ნაღდ ანგარიშზე.

სერ ოკლანდ ჯედესმა, ესპანეთის რიო-ტინტოს მაღაროების კომპანიის თავმჯდომარემ, აცნობა აქციონერებს, რომ ფრანკომ ფაქტიურად მოახდინა მაღაროების კონფისკაცია, რომელთა პროდუქცია იგზავნება გერმანიაში მიღებული იარაღის ფასის გადასახდელად. ფრანკო მფლობელებს კუთვნილ თანხებს აძლევს პეზეტებით სრულიად თვითნებური კურსით.

ჯენკინსი.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ახალგაზრდა სტახანოველი ფეიქარი ანტონინა ლიპატოვა, რომელმაც 1 მაისისათვის გეგმა 136 პროცენტით შეასრულა.
ფოტო იამასი („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

კამოელები

შავრაზმელები დაძრწოდნენ თბილისის ქუჩებში, რევოლუციის ადამიანებს ხვრეტდნენ, რეაქციის ძალები იმარჯვებდნენ...

ახალგაზრდა მუშები ახლანდელი ზემელის მოედანთან შეგროვდნენ, სწავლა სწყუროდათ; ისინი რეალურ სასწავლებლებსა და გიმნაზიებში არ მიიღეს — თქვენი ადგილი აქ არ არისო — ასეთი პასუხით გაისტუმრეს. მუშები მოედანთან ოკუნოვის სახელოსნო - სასწავლებელში*) შევიდნენ და დირექტორს განცხადება მისცეს სახელოსნოში მოწაფეებად მიღებაზე. ისინი ორასამდე იყვნენ, მოწაფეებად მიიღეს ამხ. ბაგრატ მაჩაიძე, მიხეილ ჭიაურელი, მიხეილ სარაული, ანდრო ვაშაკიძე, არეთი ჩამთარაძე... სულ 42 კაცი. მომავალ ზეინკლებს ხაზვაში ლექციას უკითხავდა მოსე თოიძე.

მოსაწყენი იყო სახელოსნოს ცხოვრება, მუშები უგულოდ სწავლობდნენ, პირობები არ იყო; მთელ შენობაში მხოლოდ 10 დაზგა იდგა, მოწაფეები დიდ დროს ანდომებდნენ დეტალების ჩარხვას, უფერულად მიდიოდა დღეები...

არც ათი წლის შემდეგ შეცვლილა მდგომარეობა, სახელოსნოს ფერიც არ უცვლია; კვლავ სივიწროვე, დაზგების ნაკლებობა იყო, მუშაობისა და ცხოვრების პირობები უფრო გაუარესდა.

— მენშევიკების დროს — ამბობს ხარატი ამხ. ანდრო ვაშაკიძე, — მთლად მათხოვრებად გაგვხადეს, დილით ადრე მოვიდოდით „სკოლაში", ჩავდგებოდით რიგში ნახევარი გირვანქა მჭადის მისაღებად, დროგამოშვებით მოგვცემდნენ ერთ ნატეხ შაქარს და ცივ ჩაის შაქრის კვნიწით ვსვამდით.

ეს იმიტომ, რომ ნოე ჟორდანიას, მისი მენშევიკური „სამოთხის" ბატონ-პატრონთ, დასავლეთის იმპერიალისტები, კერძოდ ინგლისის მილიტარისტები ერჩივნათ „აღმოსავლეთის ფანატიკოსებს"!..

1921 წლამდე სახელოსნოში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, თებერვლის დღეებს შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, სკოლის მუშაობა გამოცოცხლდა, სახელოსნოს შეემატა ახალი სახარატო დაზგები, ახლა მარტო ანდრო ვაშაკიძის საოსტატოში 18 სახარატო დაზგაა. თვითონ ანდრო კი თვეში 1.500 მანეთს იღებს. შაქრის კვნიწით ჩაის სმა მას მოგონებად-ღა დარჩა. თუ წინათ ვაშაკიძის საოსტატოში წელიწადში 4-5 სახარატო დაზგას უშვებდნენ, ახლა თვეში 50-60 დაზგა გამოდის.

წინანდელი საფაბრიკო-საქარხნო სკოლა ახლა მშვენიერ ქარხნად გახდა, მას დღედაღამ არა სძინავს, პნევმატიკურ უროს, სახარატო და მრანდავი დაზგების გრიალი მთელ მოედანს იპყრობს. კამოელები სულ რაღაც სამი წლის მანძილზე იმდენად გაიზარდნენ, რომ საფაბრიკო-საქარხნო სკოლა დაზგათმშენებელ ქარხნად გახადეს. მათ აქვთ მშვენივრად მოწყობილი სახარატო, საზეინკლო, სამწყობო, მრანდავი, სამსხმელო სამჭედლო და სადურგლო საამქროები.

აი, რიგრიგობით ჩაუმწკრივებიათ საუცხოოდ გაკეთებული „ტ. პ."-ს ტიპის სახარატო დაზგები, თვითეული დაზგა 300 ნაწილისაგან შესდგება. ამწყობები ამ დაზგებს შეაფუთავენ და კავშირის სხვადასხვა ქალაქებში ჰგზავნიან.

კამოელები მწყობრად მუშაობენ, ისინი განსაკუთრებით გამოირჩევიან მანქანათმშენებელ ქარხნებში. შრომის ნაყოფიერების ზრდის მხრივ ბადალი არა ჰყავთ; ახალი ადამიანები იზრდებიან, ახალ დეტალებს და დაზგებს ითვისებენ. მათი გეგმიური პროდუქცია 1934 წლის 900 ათასი მანეთიდან 1937 წელს 4 მილიონ მანეთამდე გაიზარდა.

კამოელები წელს ივლისში მოგვცემენ ახალი, თანამედროვე გაუმჯობესებული „ტ. ვ." ტიპის სახარატო დაზგებს. ამ დაზგას 600-მდე ნაწილი ექნება. ამ ქარხანაში რთულ საქმეს იოლად უძლევიან, ადამიანებს კარგად უწყობენ ხელს, სტახანოველებს ამრავლებენ. სწორედ ამის შედეგია, რომ ახლა ქარხანაში უმრავლესობას დამკვრელები და სტახანოველები შეადგენენ, 237 მუშიდან 117 სტახანოველია.

აი, კამოელების გამარჯვების მაჩვენებლები: მათ შარშან 2-ნახევარი მილიონის ნაცვლად 3,6 მილიონი მანეთის პროდუქცია მოგვცეს, წელს პირველ კვარტალში 955,5 ათასის ნაცვლად მოგვცეს 1.270 ათასი მანეთის პროდუქცია, აპრილში 33 სახარატო დაზგის ნაცვლად — 44. კამოელებს გადაუწყვეტიათ 9 თვეში შეასრულონ 4 მილიონი მანეთის წლიური პროდუქციის გამოშვების გეგმა.

ვალ. კვათანელი.

---

*) კამოს სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის, ყოფილი სახელოსნო სასწავლებლის მუშების გადმოცემით, ეს შენობა თბილისის, მუშებს აუგიათ 1880 წელს სპეციალურად სკოლისათვის, სკოლის 50 წლისთავის იუბილე კამოელებმა 1930 წელს გადაიხადეს.

სეზონისათვის არ ემზადებიან

ბორჯომის სავაჭრო ორგანიზაციები სუსტად ემზადებიან საკურორტო სეზონისათვის.

სავაჭრობისა და კურორტმომარაგების ბორჯომის განყოფილებებს დღემდე არ გაუშლიათ მზადება სეზონისათვის შესაფერისი საქონლის შემოსატანად. ამ მიმართულებით სავაჭრო ორგანიზაციები არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ.

მოუწყობელია აგრეთვე ბორჯომის ბაზარი. სრულიად უვარგისია მაღაზიებისათვის აგებული დარაბები. ბაზრის მოედანი მოუკირწყლავია და წვიმიან ამინდში გაუვალი ლაფი დგება.

ბაზრის კეთილმოწყობას ბორჯომის რაიშინვაჭრობის განყოფილება ყურადღებას არ აქცევს.

საკურორტო სეზონი მალე დაიწყება. სასწრაფო ზომები უნდა იქნას მიღებული ბორჯომის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის გარდასაქმნელად.

გრ. ლომიძე

საკოლმეურნეო დემოკრატიას არღვევენ

(„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

თელავის რაიონის სოფელ ზემო-ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობაში უხეშად არღვევენ სას.-სამ. არტელის სტალინურ წესდებას. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე კოტე ლაგაზიძემ კარგად იცის საერთო კრების ძალა და მნიშვნელობა, ისიც იცის, რომ საერთო კრება კანონიერია მხოლოდ მაშინ, თუ მას არტელის წევრთა ორი მესამედი ესწრება, მაგრამ იგი ისე მოქმედებს, როგორც პირადად მოეპრიანება.

შარშან, 10 მარტს, არტელის გამგეობას განუხილავს საკითხი შრომის დეზერტირების შესახებ და ამ სხდომაზე გაურიცხავს 25 კოლმეურნე. გამგეობას ეს საკითხი 24 მარტს გადაუტანია არტელის წევრთა საერთო კრებაზე, „საერთო" კრებას კი, რომელსაც 300 წევრის ნაცვლად მხოლოდ 74 ესწრებოდა, გამოუტანია ასეთი დადგენილება: „შრომის დეზერტირობის წინააღმდეგ გამგეობის მიერ გამოტანილი დადგენილება დამტკიცდეს. რაც შეეხება ანდრო ბაიხოძეს, იგი დატოვებულ იქნას უკანასკნელი გაფრთხილების მიცემით".

ასე და ამ რიგად, ერთ კრებაზე, ხელის ერთი მოსმით კოლმეურნეობიდან გარიცხეს 24 კოლმეურნე.

შარშან 15 აპრილს გამგეობას ასეთივე წესით გაურიცხავს კოლმეურნეობიდან მიხაკო გიორგის-ძე ბაბოშვილი და დავით მიხას-ძე არინდაული. კოლმეურნეობიდან მათი გარიცხვის საკითხი კი საერთო კრებაზე დღესაც არ არის განხილული.

არის კიდევ უფრო აღმაშფოთებელი ფაქტებიც. არტელის გამგეობამ ამხ. კ. ლაგაზიძის თავმჯდომარეობით 1936 წლის 29 ოქტომბერს განიხილა საკითხი „გამგეობისა და სარევიზიო კომისიის გადარჩევების შესახებ" (მომხს. კ. ლაგაზიძე) და დაადგინა: „ვინაიდან გამგეობაში ზოგიერთი წევრები იჩენენ უმოქმედობას, ამისათვის გამგეობის წევრებათ გამოყოფილი იქნენ კოტე ლაგაზიძე, იბო აბაშიძე, ილო ქადაგიძე, იოსებ აბაშიძე და ანდრო ბორძიკიძე; კანდიდატებად: ადამ აფშინაშვილი და ლეო შველაშვილი; სარევიზიო კომისიაში: იოსებ მიხეილის-ძე წოტოიძე, ნიკო დავითის-ძე ცისკარიშვილი და ისაკო შაქროს-ძე ლაგაზიძე; კანდიდატად—გაბო ისაკის-ძე ბორძიკიძე". სიტყვა-სიტყვით ასე სწერია გამგეობის სხდომის ოქმში.

მას შემდეგ უკვე 6 თვეა გასული და ეს საკითხი საერთო კრებაზე დღესაც არ არის განხილული. გამგეობის მიერ ახლად „არჩეული" გამგეობა და სარევიზიო კომისია კი „მუშაობენ" საერთო კრების დაუმტკიცებლად, თუმცა დადასტურებულია, რომ არც ახლად „არჩეული" სარევიზიო კომისია ეწევა შესაფერ მუშაობას. სარევიზიო კომისიის ახალი თავმჯდომარე იოსებ წოტოიძე, რომელიც აგრეთვე გამგეობამ გამოჰყო, აცხადებს, მე საერთო კრებას არ ავურჩევივარ და სანამ მათი ნდობით არ ვიქნები აღჭურვილი, არაფერს გავაკეთებო. ასევე აცხადებენ დანარჩენი წევრებიც.

ჩავყვეთ ქვევით. ვითომდა „საერთო" კრებამ, რომელსაც 300-დან მხოლოდ 46 კოლმეურნე ესწრებოდა, 1936 წ. 15 ოქტომბერს მეორე და არა პირველ საკითხად განიხილა შემოსავლის განაწილება (მომხსენებელი — ბუხჰალტერი ილო ქადაგიძე). ამ კრებას ესწრებოდა რაიაღმასკომის მაშინდელი თავმჯდომარე ამხ. ვ. ნაცვლიშვილი და ამ საკითხის შესახებ მიღებულ დადგენილებაში სიტყვა-სიტყვით სწერია: „წარმოდგენილი განაწილების მასალები დამტკიცდეს, მასთანვე ერთად ჩამოეწეროს საწყობს დანაკლისი ყველისა, როგორც ნორმალური. ასევე დამტკიცდეს 138 კოლმეურნეზე გასაცემ საკლავების სია, მომხრე—28, წინააღმდეგია 4, თავი შეიკავა—14. აგრეთვე დამტკიცდეს დაბრუნებულ ცხვრებზე დაკავებული შრომადღეები: მომხრეა — 28, წინააღმდეგია—10, თავი შეიკავა 8. შრომადღეების დაკავება დამტკიცდეს. მომხრეა—26, წინააღმდეგი — 6, თავი შეიკავა — 14".

ეს არის და ეს. ეს იყო გამგეობის მუშაობის წლიური ანგარიში, რომლისთვისაც სარევიზიო კომისიას აუცილებელი საჭირო დასკვნა არ მიუცია, მაგრამ ეს საკითხი მიაფუჩეჩეს.

შეიძლება ზემო-ალვანიდან გვისაყვედურონ ჩვენ მომთაბარე ხალხი ვართ, კრებას ყველა კოლმეურნე ვერ დაესწრებაო, მაგრამ მათ ხომ ცხვარში და სხვა სახის საქონელში გამოყოფილი ჰყავთ 140 მწყემსი. ამათგან საგრძნობი ნაწილი მორიგეობით იმყოფება სახლში და, თუ ამას მივუმატებთ თითქმის მუდმივად ადგილზე მყოფთ, თამამად შეიძლება კრებას ყოველთვის დაესწროს 200 კოლმეურნე მაინც.

1937 წლის დაწყებიდან დღემდე არც გამგეობისა და არც საერთო კრების სხდომა ერთხელაც არ ყოფილა. საკითხები კი უამრავია, რომლებიც მოითხოვდა და მოითხოვს გამგეობის დადგენილებას და საერთო კრების დასტურსაც. მაგალითად, ღოლობის მიმდინარეობა, საგაზაფხულო ხვნა-თესვა, მტს-თან ხელშეკრულება, საზაფხულო საძოვრებზე წასვლისათვის მზადება და სხვ., მაგრამ ამ კოლმეურნეობაში მივიწყებულია მასების ხმა, რაც სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს. ამას ნაწილობრივ თვით გამგეობის ოქმიც ამტკიცებს. მაგალითად, გამგეობის ერთერთი სხდომის ოქმში სწერია ამხ. კოტე ლაგაზიძის დამოკიდებულებაზე წევრებთან. დაადგინეს: „წინადადება მიეცეს ამხ. ლაგაზიძეს კარგი დამოკიდებულება იქონიოს წევრებთან".

ყველაფერი ეს გამოწვეულია იმით, რომ თელავის მიწგანი ცუდად ხელმძღვანელობს, როგორც სხვა კოლმეურნეობებს, ისე ამ კოლმეურნეობასაც. მიწგანის მუშაკები ადგილებზე რომ ჩადიან, ფაცი-ფუცით ავსებენ გეგმების გრაფებს და ფიცხლავ გამორბიან უკან. რომ მოინდომონ და თვითეულ კოლმეურნეობაში 2-3 დღე დაჰყონ, შეისწავლონ ყველა საკითხი, განსაკუთრებით თუ როგორ ხორციელდება ამხ. ლავრენტი ბერიას მითითება, რომელიც მან მოგვცა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გასული წლის აგვისტოს პლენუმზე „საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ", მაშინ, ცხადია, ასეთი მდგომარეობაც აღარ იქნება.

საჭიროა საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომმა და რაიაღმასკომმა აღნიშნული ფაქტების საფუძველზე შეისწავლონ რაიონში საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევის მაგალითები და მიიღონ ენერგიული ზომები მდგომარეობის დაჩქარებით გამოსასწორებლად.

ურჩილ კოკილაშვილი.

ხნა-თესვის ფრონტზე

(რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა)

საგაზაფხულო თესვის დამთავრებისათვის მთავრობის მიერ დაწესებული ვადები უკვე გავიდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ რაიონსა და კოლმეურნეობას გეგმა ჯერაც არ შეუსრულებია.

ჩვენ უკვე ვწერდით იმ ჩამორჩენასა და უყურადღებობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ მხრივ ქუთაისის რაიონში. როგორც ჩვენი კორესპონდენტი ამხ. ეგ. გვასალია გვწერს, ჩამორჩენა ქუთაისში ისევ გრძელდება. „სოფ. გვიმბრის ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. კოლუაშვილი) საკვების უქონლობისა და ცუდი მოვლის გამო მუშა-პირუტყვი ისე დაძაბუნებულია, რომ მას ხვნაზე ვერ იყენებენ. ამავე კოლმეურნეობაში უვარგისი თესლი გამოჰყვეს და დანაკლისის შევსება თესვის დაწყების შემდეგ მოაგონდათ. ხშირია საწვავ-საცხები მასალის ნორმების გადახარჯვა. მტს-სა და კოლმეურნეობებს შორის დადებული ხელშეკრულება მრავალ შემთხვევაში არ სრულდება. რაიონში დაუშვებლად ჭიანურდება ხვნის გეგმის შესრულება".

სოფლკორი აკაკი მერკვილაძე იტყობინება: „სოფ. სვირის ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას, რომელმაც წელს სიმინდი 60 ჰექტარზე უნდა დასთესოს, სიმინდის თესლი საკმარისად არა აქვს. აქ არც ნამუშევრის აღრიცხვის საქმეა მოგვარებული. კოლმეურნეობის თავმჯდომარე დავით კობახიძე კი ამ მდგომარეობის გამოსწორებას ყურადღებას არ აქცევს".

ხვნა-თესვის მხრივ კიდევ უფრო ცუდი სურათია ბაშკიჩეთის რაიონში. თავთავიან კულტურათა თესვა აქ 15 აპრილამდე უნდა დამთავრებულიყო. აღნიშნულ რიცხვისათვის კი, როგორც სოფლკორი ტ. სამადაშვილი იწერება, ბაშკიჩეთის სოფლსაბჭოში 1940 ჰექტარიდან მხოლოდ 640 ჰექტარი იყო დათესილი. „ეს იმის მიზეზია,—სწერს ამხ. სამადაშვილი,—რომ კოლმეურნეობებს თავის დროზე არ ჰქონდათ მომზადებული სათესლე მასალა. სოფ. დიდგომარეთის კოლმეურნეობას აკლია დიკის თესლი. სოფ. პატარა გომარეთის კოლმეურნეობას არა აქვს კარტოფილის თესლი გეგმით გათვალისწინებული ერთი ჰექტარის დასათესად. 18 აპრილს, მიუხედავად იმისა, რომ კარგი ამინდი იყო, გომარეთში 2 ტრაქტორი და 25 გუთნეული მოაცდინეს".

კასპის რაიონმა წელს დაარღვია შაქრის ჭარხლის თესვის ვადები და აქ არც ჭარხლის ნათესების დამუშავებისათვის არიან მზად.

მოსავლიანობის გადიდების სახელმწიფო გეგმით წელს უნდა მივიღოთ რესპუბლიკაში საშუალო მოსავალი თავთავიანი პურეული კულტურის თვითეული ჰექტარიდან 12,5 ცენტნერი, კარტოფილი—90, შაქრის ჭარხალი—200, თამბაქო—8,7, მზესუმზირა—10, ბამბა—10,8 ცენტნერი და სხვ. ეს დავალება ცალკე რაიონების მიხედვით კიდევ უფრო დიდია. მისი წარმატებით შესრულება კი დიდად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გამოვასწორებთ ხვნა-თესვაში არსებულ ჩამორჩენას და წესიერად მოვემზადებით ნათესების ხარისხოვნად დამუშავებისათვის.



ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში (ქობულეთის რაიონი).
ფოტო იგ. იმედაძისა

ი. ჩიაევი

სამხრეთ-ოსეთის გზატკეცილთა საოლქო სამმართველოს უფროსი

უგზოობასთან ბრძოლა სამხრეთ-ოსეთში

როგორც ცნობილია, სამხრეთ-ოსეთის ბოლშევიკებს მნიშვნელოვანი მიღწევები მოუპოვებიათ უგზოობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში.

სამხრეთ-ოსეთის მშრომელებმა ერთხელ და სამუდამოდ შეიგნეს, რომ უგზოობის მოსპობა მათი სასიცოცხლო საქმეა, რომ თუ კარგი სავალი გზები არ ექნებათ, ოლქის კულტურული და ეკონომიური განვითარება ორივე ფეხით იკოჭლებს.

ამიტომ ჩვენი ოლქის კოლმეურნეებმა და მშრომელებმა მხურვალედ მოჰკიდეს ხელი გზების მშენებლობას მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით.

დიდი ხანი არ არის, რაც ზოგიერთი კოლმეურნე და ერთპიროვნული გლეხი ამ საქმეს უგულოდ ეკიდებოდა. ახლა კი ასეთ შემთხვევას თითქმის ვეღარ შეხვდებით.

განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწია ოლქმა უკანასკნელ წლებში. მაგალითად, 1935 წლის საგზაო მშენებლობის გეგმა შესრულდა 270 პროცენტით, 1936 წლისა კი — 160 პროცენტით.

საგზაო მშენებლობაში მხოლოდ მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით ჩვენ ავაგეთ უაღრესად პასუხსაგები, სერიოზული ხელოვნური ნაგებობანი, როგორიცაა: 240—მეტრიანი ხიდი მდ. ქსანზე, 120—მეტრიანი ხიდი ბობოქარ პატარა ლიახვზე, სადაც ძველად თითქმის ყოველწლიურად იღუპებოდნენ მგზავრები, 40—მეტრიანი ხიდი მდ. ყორნის-დონზე, მდ. თერელვან-დონზე და სხვ. და სხვ.

სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობებს რომ თავი დავანებოთ, სადაც გზები სრულიად არ იყო, დიდი ხანი არ არის, რაც კურორტ ჯავამდე, სარაიონო ცენტრ ზნაურამდე მისვლა უდიდეს სიძნელეს წარმოადგენდა, ახლა კი გვაქვს პირველი კლასის გზატკეცილი ჯავამდე, იმის იქით 26 კილომეტრი, ზნაურამდე—32 კილომეტრი და საკმაოდ კარგი გზები მთელ რიგ სასოფლო საბჭოებამდე.

მაგრამ, მიუხედავად 1937 წლამდე გაწეული დიდი მუშაობისა, 1937 წლის საგზაო სამუშაოების გეგმა ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეედრება წინა წლებისას. 1937 წელს ჩვენ უნდა გავიყვანოთ ხრეშის გზატკეცილი 35 კილომეტრზე, კოლოლის — 19 კილომეტრზე და ხრეშის გზა (მოუტკეპნავად) — 15 კილომეტრზე; უნდა შევაკეთოთ არსებული გზები 64,5 კილომეტრზე, გავჭრათ გზები 24 კლმ. და ავაგოთ 15 ხიდი. სულ შრომითი მონაწილეობით შესრულებულ უნდა იქნას 3,300 ათას მანეთამდე ღირებული საგზაო სამუშაოები. სამხრეთ-ოსეთისათვის, მისი 87-ათასიანი მოსახლეობით, რომლის ტერიტორიაც დაღარულია მრავალი მთით და ზოგჯერ გაუვალი ხევებით,—ეს გეგმა მცირე არ არის.

ამიტომაც მის შესრულებას ჩვენ უკვე 1936 წლის ოქტომბრიდან შევუდექით.

1936 წ. 20 სექტემბერს საგზაო მუშაკების საოლქო-საწარმოო თათბირზე განვიხილეთ 1937 წლის საგზაო სამუშაოების საერთო გეგმა. იმავე წლის ნოემბერს შევადგინეთ 1937 წლის საგზაო სამუშაოთა საწარმოო გეგმები თვითეული რაიონისა, სასოფლო საბჭოსი და კოლმეურნეობისათვის. ეს გეგმები განიხილეს კოლმეურნეობათა საერთო კრებებზე, სოფსაბჭოთა პლენუმებზე და რაიაღმასკომთა პრეზიდიუმების სხდომებზე.

ამასთან, თავის 1936 წ. 5 დეკემბრის დადგენილებით საქ. კ.პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტმა მოგვცა ოლქში ჩასატარებელ საგზაო სამუშაოთა გაშლილი პროგრამა.

შექმნილ იქნა ყველა საჭირო საგზაო ხელსაწყო და მასალა.

დეკემბრის განმავლობაში დამთავრდა საგზაო სამუშაოთა გეგმების დაყვანა სოფლის საბჭოებამდე და კოლმეურნეობებამდე. კოლმეურნეობებმა პირველად სამხრეთ-ოსეთის საგზაო მშენებლობის ისტორიაში მიიღეს საგზაო სამუშაოთა გეგმები წლის დასაწყისამდე. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა შემდგომი მუშაობისათვის. გეგმებში ზუსტად იყო ნაჩვენები რა სამუშაო უნდა შესრულებულიყო და რა რაოდენობით, რომელ კილომეტრზე, როდის უნდა დაწყებულიყო მუშაობა და როდის დამთავრებულიყო.

საგზაო სამუშაოების შესასრულებლად ორგანიზებული წესით პირველნი გამოვიდნენ: მშვიდი-კაუს (თავმჯდომარე შ. მამიევი), კოჩითი-კაუს (თავმჯდომარე ქ. კოჩიევი), ავნევის (პარტორგი ს. კობესოვი), ერედვის (თავმჯდომარე გ. ტარიელაშვილი) და ძაგინის (ბ. გაგიევი) კოლმეურნეობები.

მათ მაგალითს დანარჩენებმაც მიჰბაძეს და სოცშეჯიბრებისა და მისი უმაღლესი გამოხატულების—სტახანოვური მეთოდის გამოყენებით მთელი რიგი კოლმეურნეობები და მათ შორის ზემოთ დასახელებული: მშვიდი-კაუს, კოჩითი-კაუს, ავნევის, ერედვისა და ძაგინისა უკვე გასულ დეკემბერში ამთავრებენ 1937 წლისათვის მიცემულ საგზაო სამუშაოთა გეგმას.

აღფრთოვანებულნი პარტიისა და მთავრობის დადგენილებით მთელი წლის საჭირო საგზაო საშენი მასალის 1937 წლის 1 აპრილისათვის დამზადება-გამოზიდვის შესახებ, სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნე-გლეხები გვიჩვენებენ თავდადებული მუშაობის ნიმუშებს. კოლმეურნეობებსა და რაიონებს შორის ფართოდ გაიშალა სოცშეჯიბრება ამ დავალების ვადამდე შესრულებაზე. ამინდი ხშირად ხელს უშლიდა მუშაობას: კარიერებიდან მასალის მისატანად სამუშაო ზონამდე გვიხდებოდა საზიდთა ტიპების ცვლა: პირველად ეზიდებოდნენ ურმებით, შემდეგ გადატვირთავდნენ მარხილებზე და შემდეგ ისევ ურმებზე, რადგან ძლიერი ქარბუქი გზის ერთ უბანზე რომ ნამქერის ზვინებს დასდგამდა, ამ დროს მეორე ადგილი შიშვლდებოდა და საჭირო ხდებოდა ჩვენი მუშაობა სტიქიის ცვალებადობის მიხედვით აგვეწყო. ძნელი იყო გაყინული ქვისა და ხრეშის დამუშავება, მაგრამ რამდენადაც მეტი იყო სიძნელეები, მით უფრო იზრდებოდა კოლმეურნეთა ენტუზიაზმი და დაჟინება დავალების შესასრულებლად.

სამხრეთ-ოსეთის ცაკის დადგენილებით თებერვალში ჩამოყალიბდა სარაიონო საგზაო განყოფილებები. ყველა ისინი უზრუნველყოფილ იქნენ ინჟენერ-ტექნიკოსი მუშაკებით.

19 თებერვალს საგზაო მუშაკთა საოლქო თათბირზე მოსმენილ იქნა მოხსენებები საგზაო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ოლქში. თათბირმა გამოაცხადა საგზაო მშენებლობის დამკვრელობის ერთთვიური და დასახა მისი ჩატარების კონკრეტული გზები.

თებერვლის დამლევს უგზოობასთან მებრძოლი საოლქო შტაბის სხდომაზე დამტკიცდა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება 1937 წლის საგზაო სამუშაოთა გეგმების უკეთესად შესრულებაზე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის.

ყველა ამ საორგანიზაციო და მასობრივი მუშაობის შედეგად ოლქის კოლმეურნეებმა და მშრომელმა გლეხობამ საშენი მასალის დამზადებისა და გამოზიდვის გეგმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს.

25 თებერვლისათვის დამზადდა და სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე გამოიზიდა 28566 კუბ. მეტრი ქვის მასალა, გეგმით გათვალისწინებული 25.500 კუბ. მეტრის ნაცვლად და ხეტყის მასალა 402 კუბ. მეტრი, გეგმით გათვალისწინებული 290 კუბ. მეტრის ნაცვლად. ამას გარდა, შესრულებულ იქნა 37.754 კუბ. მეტრის მოცულობის მიწისა და კლდის სამუშაოები.

საგზაო საშენი მასალის დამზადება-გამოზიდვა გრძელდება.

დანაშაული იქნებოდა თავბრუ დაგვხვეოდა ამ მიღწევებით. მთავარი საქმე ჯერ წინ გვიძევს. საჭიროა მასალის მიზიდვის დაჩქარება, საჭიროა მისი ათვისების დაწყება. ახალი გზების მოსაწყობად უნდა შევასრულოთ მიწისა და კლდის უდიდესი მოცულობის სამუშაოები, უნდა შევუდგეთ გზების რემონტს.

არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა ჩვენი რაიონი, სოფსაბჭო და კოლმეურნეობა კარგად მუშაობდეს გზებზე.

ეს საქმე ძალიან ცუდად აქვს დაყენებული ჯავის რაიონს (რაიკომის მდივანი ბესტაევი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ბალაევი, საგზაო განყოფილების გამგე ინჟ. ქცოევი), სადაც მასალის დამზადება-გამოზიდვის გეგმა მხოლოდ 10 პროც. არის შესრულებული. ჯავის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სჩანს, არ აფასებენ საგზაო მშენებლობის საქმეს, თორემ აბა რით შეიძლება ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენის ახსნა, მით უმეტეს, რომ საგზაო მშენებლობის პირობები ჯავის რაიონში არაფრით უარესი არ არის დანარჩენ რაიონებზე. ჯაველმა ამხანაგებმა სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი საგზაო საქმეს და უკან არ უნდა ეწეოდნენ ოლქს ამ დარგში; მათ ყველაზე მეტად მართებთ ჩაუფიქრდნენ ამ საკითხს, რადგან ჯავის რაიონს ამ დარგში ჩამორჩენა უკვე რამდენიმე წელია ემჩნევა.

მთლად კარგად ვერ არის საქმე ზნაურის რაიონშიც (რაიკომის მდივანი კარგიევი, აღმასკომის თავმჯდომარე ხარებოვი, საგზაო განყ. გამგე ინჟ. მარდანოვი). მართალია, იქ ბევრი ხრეშია გამოზიდული, მაგრამ მუშაობის პირობების მიხედვით გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლებოდა.

ყველაზე უკეთ აქვს საქმე სტალინირის რაიონს (რაიკომის მდივანი ჯათიევი, აღმასკომის თავმჯდომარე ხაბალოვი, საგზაო განყ. გამგე ინჟ. გასიევი), მაგრამ აქაც სამუშაოები ზოგჯერ გაბნეულია, რის გამოც იქმნება „გარღვევები".

ყველა რაიონმა ამ საქმეს მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციოს, რათა მთლიანად იქნას გამოყენებული საშენი მასალის გზებზე გამოზიდვის შესაძლებლობანი.

საგზაო სამუშაოების მთელი გეგმა დიადი ოქტომბრის რევოლუციის 20 წლის თავისათვის უნდა შევასრულოთ. ჩვენი ოლქის კოლმეურნე გლეხობა უნდა უზრუნველვყოთ მტკიცე, ლამაზი გზებით. 1937 წ. ძირითადად ბოლო უნდა მოვუღოთ უგზოობას, რაც საუკუნეობით თან გვდევს.

ჩვენი ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საქმიანი დახმარებით ეს ამოცანა უეჭველად შესრულდება.

ფაშიზმის აგენტების, კაცისმკვლელი ბანდიტების— ტროცკისტების საპასუხოდ, მათ შორის „ცუდორტრანსის" ყოფილი „ხელმძღვანელის"— მავენბლისა და გათახსირებული სერებრიაკოვისა და მის მსგავს ქოფაკთა საპასუხოდ სამხრეთ-ოსეთის მშრომელნი გამოიჩენენ გმირობისა და თავდადების სასწაულებს სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ყველა ფრონტზე, მათ შორის საგზაო მშენებლობის ფრონტზედაც.

ი. მჭედლიშვილი

მინდვრებო წიწამურისა

უკვე გამქრალა სიბნელე
წარსული დროის ბიწისა,
მკერდზე მოგვსვლიათ ყვავილი
მანდ დაცემულის ნიჭისა.
ეგ ჯეჯილების ღაღანიც
სიხარულია მიწისა,
ქვევიდან ამონაწვევი
ზევით ნათქვამი ფიცისა.

შენცა ნიავო, მოღლილო
ვარდ-ყვავილებთან ცეკვითა,
ილიას ხსოვნა შემოგაქვს
ჩვენს გულში შემოხედვითა:
სუნნელით ნაირ-ნაირით,
სიცოცხლით მეტის-მეტითა
და გვიალერსებ: ილია
აღმდგარიაო მკვდრეთითა!..

მინდვრებო წიწამურისა!
აღარას გკითხავთ კითხვითა:
აღარ გაწუხებთ თქვენ სისხლით
არც ყინვით, აღარც სიცხითა!

უმსგავსოებანი უნივერმაღის საწარმოო კომბინატში

ამ ერთი თვის წინათ გაზეთებში დაბეჭდილი იყო წერილები თბილისის უნივერმაღში მოკალათებულ ქურდთა ხროვის ბოროტმოქმედებათა შესახებ. როგორც გამოირკვა, დაუდევრობისა და ბოროტმოქმედებათა სენით შეპყრობილია აგრეთვე უნივერმაღის საწარმოო კომბინატი, რომლის დირექტორადაც ამხ. ვ. ჯანელიძე ითვლება.

მომარაგების განყოფილების გამგე ვ. მასხარაშვილი, ცენტრალური საწყობის გამგე გ. მიქელაძე და მისი თანაშემწე შ. მინდორაშვილი — აი კომბინატის ის „თაიგული", რომელიც ჯანელიძის მფარველობის ქვეშ შეხმატკბილებულად მუშაობს და სახელმწიფოს ატყუებს. მთავარი ბუხჰალტერი ქ. ვეფხვაძე კი, რომელსაც ანგარიშიანობა მთლიანად არეული აქვს, ხომ მათი მფარველი და ბნელი საქმეების კვალის დამფარავია.

დავიწყოთ უყაირათობიდან. კომბინატს თავის შტატში ჰყავს ისეთი ადამიანები, რომლებიც თითქმის არაფერს აკეთებენ და უსაქმობით წარმოებიდან წარმოებაში დაეხეტებიან. ხუთი ექსპედიტორიდან (ფირცხელავა, კუპრავა, ნადოშვილი, გურგენიძე, ხუციშვილი) სამუშაო აქვს მხოლოდ ორ კაცს. დანარჩენი ექსპედიტორები აქ ზედმეტი არიან.

ცხადია, კომბინატის გაბერილი შტატის შენახვის ხარჯები მთლიანად აწვება იმ პროდუქციას, რომელსაც უნივერმაღი სარეალიზაციოდ ღებულობს.

ყოვლად შეუწყნარებელია ის გარემოება, რომ კომბინატის საწარმოებში (სამკერვალოები) პროდუქციის გამოშვებაზე გაწეულ ხარჯებს ფაქტიურად კონტროლს არავინ უწევს; მასალის ყოველგვარი ნორმის გარეშე ხარჯავენ. სწორედ ამით არის გამოწვეული საპრეისკურანტო ფასების სისტემატური დარღვევა და შეკერილ ტანსაცმელში მომხმარებლისათვის მეტის გადახდევინება, მთელი ფაქტიური ხარჯების ჩათვლით.

ვინ უწევს ამას კონტროლს და ვინ აგებს პასუხს?

კომბინატის მოვალეობაა — საქონელი გადაამუშაოს და სარეალიზაციოდ ჩააბაროს უნივერმაღს მატერიალური ანგარიშის წარდგენით. რა ხდება სინამდვილეში? შეკერილ ტანსაცმელზე გაწეულ ხარჯებსა და მასალაზე კომბინატი უნივერმაღს არავითარ ანგარიშს არ უდგენს. აღმაშფოთებელი ის არის, რომ ამისათვის არც უნივერმაღის მესვეურები იწუხებენ თავს.

თავისი საწარმოების გარდა, კომბინატი მასალას გადასამუშავებლად აძლევს აგრეთვე სხვადასხვა არტელებს, რომელთა მუშაობასაც არც საწარმოო განყოფილება და არც დირექცია არავითარ კონტროლს არ უწევენ. აქ თვითნებით მოქმედებენ. ამის შედეგია, რომ ხშირად არტელების მიერ გამზადებული პროდუქცია (შეკერილი ტანსაცმელი) უვარგისი ხარისხისაა და შეუფერებელია უნივერმაღისათვის.

1936-37 წლებში არტელების მიერ გადამუშავებული მასალა, რომლის ღირებულებაც (ორი განრიგით) 230.000 მანეთს შეადგენს, უნივერმაღმა არ მიიღო. კომბინატი იძულებული გახდა პროდუქცია სარეალიზაციოდ სხვა ორგანიზაციებისათვის გადაეცა.

კომბინატორობისა და ბოროტმოქმედობათა იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს შემდეგი ფაქტები.

თბილისის უნივერმაღის ბუხჰალტერიის ცნობით კომბინატის მთავარი საწყობიდან ცალკე პირებზე გაცემულია რამდენიმე ათი ათასი მანეთის დეფიციტური საქონელი (ძვირფასი შალეული, კოვერკოტი, დრაფი), რის უფლებაც მათ არ ჰქონდათ.

საწყობის გამგე გ. მიქელაძემ და მისმა თანაშემწემ მინდორაშვილმა ამ ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად თბილისის უნივერმაღში ამხანაგი გამოძებნეს. ეს გახლავთ უნივერმაღის საწყობის გამგე პუჩკოვი.

ცალკე პირებზე გაცემულ საქონელზე მათ შეადგინეს ყალბი ფაქტურები, რომლებითაც თითქოს მათ უნივერმაღს საქონელი უკანვე დაუბრუნეს, ნამდვილად კი ფართლეული ნაჭრობით საწყობიდან გაჰყიდეს და უნივერმაღის სალაროში ფული შეიტანეს. ამ ყალბ საბუთებს საქონლის ჩაბარებაზე ხელს აწერენ მიქელაძე და მინდორაშვილი, ხოლო მიღებაზე — პუჩკოვი.

შემდეგი ფაქტი. კომბინატის მიერ მიღებული იაპონური დრაფი, რომელიც მათ 50 პროცენტის ფასდაკლებით ქუდების შესაკერად გადაეცა, მთლიანად განაწილდა უნივერმაღისა და სამრეწველო კომბინატის თანამშრომელთა შორის პალტოების შესაკერად. მაგალითად, ამ მასალიდან პალტოები შეიკერეს გრონსკიმ, ჯანელიძემ, ვეფხვაძემ, პირველმა, მასხარაშვილმა, აიგინოვმა, გაბუნიამ და სხვებმა. ამ დანაშაულს ისიც უნდა დაემატოს, რომ მათგან მხოლოდ გრონსკიმ გადაიხადა პალტოს საფასური, დანარჩენებმა პალტოები ნისიად გამოიტანეს.

მარტო ამით როდი ამოიწურება კომბინატორების მავნებლური საქმიანობა. ცენტრალური საწყობის ბარათებში ნახავთ მთელ რიგ ჩანაწერებს, რომელთა მიხედვით, ვითომც შესაკერი საქონელი წვრილ-წვრილ ნაჭრობით გადასამუშავებლად გადაცემული აქვთ არტელებს. ნამდვილად კი ზოგიერთი არტელის შემოწმებისას გამოირკვა, რომ მათ ცენტრალური საწყობიდან არავითარი მასალა არ მიუღიათ. მაშ სად წაიღეს საქონელი? პასუხი მხოლოდ ერთია, საწყობიდან ცალკე პირებს ზედმეტ ფასებში მიჰყიდეს და ნარჩენი ფული მიითვისეს.

არც კომბინატის საწარმოებშია უკეთესი მდგომარეობა. აქაც წააწყდებით ბოროტმოქმედებას. სამკერვალო წარმოების ბავშვთა ტანსაცმლის საამქროს გამგეს — გერმესაშვილის ქალს ბინაზე აღმოაჩნდა 200 მეტრზე მეტი ფართლეული. ეს იმის შედეგია, რომ ამ საწარმოში საამქროს გამგეები საქონელს საწყობიდან უკონტროლოდ ღებულობენ და მასალას დაკვეთის ცხრილებში გადიდებული ნორმებით აჭრებენ. ერთი სიტყვით, აქ სახელმწიფო საკუთრების განიავება - მითვისებისათვის ყოველგვარი ნიადაგი არსებობს. ამას უშუალოდ ხელს უწყობენ თვით საწარმოს გამგე აიგინოვი და მისი თანაშემწე ხაჩატუროვი.

ყოველივე ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ უნივერმაღის კომბინატის დირექციამ, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა მოადუნეს სიფხიზლე და საქმისადმი უდარდელი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით კომბინატში გამეფებულ უმსგავსოებას ფართო გასაქანი მისცეს.

ჩვენ მოვითხოვთ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატისაგან ბოლომდე გამოააშკარაოს უნივერმაღის საწარმოო კომბინატში შექმნილი უმსგავსოებანი. კერძოდ შინავაჭრობის სახკომატის ამჟამად იქ მომუშავე კომისიამ სრული პასუხისმგებლობით უნდა აღრიცხოს კომბინატში არსებულ ბოროტმოქმედებათა ყველა ფაქტი, გამოაშკარავოს კონკრეტული დამნაშავენი და მისცეს ისინი სისხლისსამართლის პასუხისგებაში.

ვ. ლანდორიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ირ. თოიძე მუშაობს შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემის დასურათებაზე. სურათზე — პოემის ერთერთი ილუსტრაცია — „მეფე როსტევანისა და ავთანდილის ნადირობა“.

ფოტო — რეპროდუქცია „სოიუზფოტოს“ საქ. განყოფილებისა

მწერალთა აქტივის კრება

კამათი ამხ. აკ. თათარიშვილის მოხსენების გარშემო.

უკვე მესამე დღეა ამხ. აკ. თათარიშვილის მოხსენების გარშემო გაცხოველებული კამათი მიმდინარეობს, მაგრამ როგორც წინა, ისე 9 მაისის სხდომაზე არ იყო საქმიანი კრიტიკა და თვითკრიტიკა ფართოდ გაშლილი. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებსა და საქართველოს მწერალთა კავშირის მორიგ ამოცანებზე ძალიან ცოტა ითქვა. მთელმა რიგმა მწერლებმა (ვ. გაფრინდაშვილი, ტ ტაბიძე, ნ. ნაკაშიძე და სხვ.) დაასახელეს მწერალთა კავშირის ნაკლი, მაგრამ არ სთქვეს კონკრეტულად, თუ ვინ არის ამაში უშუალო დამნაშავე.

კამათში პირველად ამხ. ვალერიან გაფრინდაშვილი გამოვიდა, რომელიც დიდხანს შეჩერდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის 23 აპრილის ისტორიულ დადგენილებამდე არსებულ მდგომარეობაზე — ძველი ხელმძღვანელობა — ამბობს ორატორი — ძალიან ცოტას მუშაობდა მწერალთა რიგების შემჭიდროებისა და განმტკიცებისათვის. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის მესვეურები ეჭვის თვალით უყურებდნენ ისეთ მწერლებსაც კი, რომლებიც ღრმად შესწირავდნენ საბჭოთა მშენებლობას, მაგრამ ჩვენ ახლა შემოქმედების ფართო ასპარეზი გვაქვს. ყოველმხრივ ხელს გვიწყობენ და ამიტომაც საგრძნობი მიღწევები მოვიპოვეთ. შესანიშნავია წიგნი „ლექსები და სიმღერები სტალინზე“ და თავის მოწოდების სიმაღლეზე დგას მთელი რიგი მწერლების უკანასკნელი ლექსები და მოთხრობები. პ. იაშვილის ლექსები კოლხიდაზე უეჭველად აღწევს მიზანს.

— მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ — ამბობს გაფრინდაშვილი — ზოგიერთი მწერლის გულგრილობა იქამდისაც კი მიდის, რომ ისინი არ კითხულობენ ერთმანეთის ნაწარმოებებს. შემდეგ გაფრინდაშვილმა ილაპარაკა თარგმანებზე და აღნიშნა, რომ ნათარგმნი ლექსებისა და მოთხრობების საჯარო განხილვა უნდა ხდებოდეს მათ დაბეჭდვამდე.

საინტერესო სიტყვით გამოვიდა ამხ. მალვა რადიანი, რომელიც შეეხო ავერბახის კონტრრევოლუციურ დამანგრეველ მუშაობას. გააკრიტიკა რაპის მავნე თეორიები და საქ. პროლეტმწერალთა ასოციაციას მუშაობა. ილაპარაკა აგრეთვე ბ. ბუაჩიძის შეცდომებზე და აღნიშნა: ბუაჩიძეს ჰქონდა ცდები, რომ აპრილის ისტორიული დადგენილებას ირგვლივ მწერლების შემჭიდროება შეეფერხებინა. მან თავისი ძველი რაპული წერილები — ამბობს ამხ. რადიანი — ცოტათი შელამაზებით გამოაქვეყნა უკანასკნელ წლებში. რუსულ ლიტერატურულ გაზეთში მოთავსებული იყო ამხ. ვიშნევსკის წერილი, რომელშიც ის ავერბახელად ბუაჩიძეს ასახელებდა. ამ წერილიდან ჩვენ სათანადო დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. ამის შემდეგ რადიანი შეჩერდა საქ. მწერალთა კავშირისა და მწერლების მუშაობაზე. — ბევრს ჩვენს მწერალს აკლია საბჭოთა მოქალაქის შეგნება. ისინი არ არიან მაგალითის მომცემნი. მ. ჯავახიშვილმა — განაგრძობს რადიანი — დასწერა შესანიშნავი ნაწარმოები „არსენა“, რომელსაც საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივობა დიდის ინტერესით შეხვდა. ამის შემდეგ ჩვენ მოველოდით ჯავახიშვილისაგან უფრო მონუმენტურ ნაწარმოებს, მაგრამ მოლოდინი ვერ გაგვიმართლდა. „რკინის საცერი“ ცხრა ქალწული“ და „ქალის ტვირთი“ შედარებით სუსტი ნაწარმოებია.

— ძნელი გამოსარკვევია ის, თუ ვინ ზრუნავს მწერალთა კავშირში ახალგაზრდა მწერლებზე — ამბობს რადიანი — ჩვენ საიმედო ახალგაზრდა მწერლები გვყავს და მათ უნდა დავეხმაროთ. ამის შემდეგ რადიანი ეხება ნ. მაწიშვილის გამოსვლას და აკრიტიკებს მას.

ამხ. ლეო ქიაჩელი შეეხო მწერალთა კავშირის პროზაიკოსთა სექციის მუშაობას და აღნიშნა, რომ პროზის ფრონტზე ყველაფერი რიგზე არ არის. სექცია სუსტად ემზადება ოქტომბრის რევოლუციის 20 წლის თავისათვის. ზოგიერთი მწერალი ქედმაღლობას იჩენს და არ სცნობს საჭიროდ სექციის სხდომაზე თავისი ნაწარმოების წინასწარ გამოტანას.

ამხ. ნინო ნაკაშიძე შეჩერდა საბავშვო სექციის მუშაობის სუსტ მხარეებზე. ამხ. ტიციან ტაბიძემ ილაპარაკა თავის შეცდომებზე, 23 აპრილის დადგენილებაზე და ქართველი მწერლების შემოქმედებითს მუშაობაზე. მან გააკრიტიკა ქართული ლიტერატურული ჟურნალების მუშაობა. შეეხო თარგმანების მდგომარეობას და აღნიშნა, რომ ქართულ ენაზე ჩვენ ლექსების თარგმანები უფრო მეტი მოგვეპოვება, ვიდრე პროზაული ნაწარმოებებისა. შემდეგ ტაბიძემ ილაპარაკა თავის შემოქმედებითს მუშაობაზე.

ამხ. ა. ჭეიშვილი უმთავრესად შეეხო ახალგაზრდა მწერალთა მტკივნეულ საკითხებს და ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის უარყოფით საქციელს.

ამხ. აკ. თათარიშვილის მოხსენების ირგვლივ კამათი გრძელდება.

◆

საინტერესო აღმოჩენა

ამას წინათ თბილისში დაბრუნდა არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც ახდენდა არქეოლოგიურ გათხრებს ალაზნის პირად სოფ. არხილოსთან. გათხრებისას აღმოჩენილია მრავალი საინტერესო მასალა და ნივთები. ექსპედიციის ხელმძღვანელის პროფ. გ. ნიორაძის გადმოცემით, ალაზნის პირად აღმოჩენილი კერამიკა (თიხის ჭურჭელი) აქამდის სრულიად უცნობი იყო საქართველოს ტერიტორიაზე და იგი არაჩვეულებრივ ინტერესს იწვევს არა მარტო არქეოლოგთა, არამედ ისტორიკოსთა შორისაც.

აღსანიშნავია,—ამბობს პროფ. გ. ნიორაძე, — მეტად გრძელტუჩიანი დოქები, რომლებსაც სახელურები ტუჩის გასწვრივ კი არა აქვს, არამედ ტუჩის პერპენდიკულარულად. ტუჩის ძირში დატანებულია თიხისვე დაფანჯრული საწური. ამგვარი გრძელტუჩიანი დოქები, და ისიც საწურით, ცნობილია მცირე აზიაში და მათი წარმოშობის ცენტრად ხეთების სამეფოს ტერიტორია ითვლება. ბოღაზქოიში (ხეთების მეფეთა რეზიდენცია) კარგა ხანია ცნობილია გრძელტუჩა საწურიანი დოქები. ჰროზნის გათხრებმა კიულთეფეში და კურტეს (მკვლევარი-არქეოლოგები) აღმოჩენამ გორდიონში მოგვცა ამგვარივე სახის ჭურჭელი და დღეს მეცნიერება ამ ტიპის ჭურჭელს ხეთურ კერამიკას აკუთვნებს და მის სამშობლოდ მცირე აზიას სთვლის

მეორე სახის კერამიკული ნაწარმი სამფეხა ჭურჭელია. ასეთი ჭურჭელი ცნობილია მხოლოდ მცირე აზიაში და ალაზნის პირადაც დიდის რაოდენობითაა ნახული. შლიმანის გათხრებმა ტროიაში (მცირე აზიაში) ჩვენ მოგვცა ამგვარივე ჭურჭელი. ჰოგარტმა აღწერა არა ერთი და ორი სამფეხა ჭურჭელი, აღმოჩენილი კარხემიშში (სადაც ცხოვრობდნენ სამხრეთის ხეთები), და ხეთურ კერამიკას მიაკუთვნა.

ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ვნახეთ სამფეხა ჭურჭელი, ისეთნაირად გაკეთებული, რომ შესაძლო მისი დაშლა და აწყობა (ჭურჭელი ცალ-ცალკე გაკეთებული ოთხი ნაწილისაგან შედგება: სამი ფეხი და ერთიც ზემო ნაწილი). ეს ჭურჭელი უნიკალურად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ასეთნაირად გაკეთებული ჭურჭლის აღმოჩენა პირველი შემთხვევაა არქეოლოგიაში. ალაზნის პირზე აღმოჩენილია აგრეთვე სხვადასხვა სახის „ვაზები“, რომლებსაც ახასიათებს მაღალი ფეხები და რომელთა წარმოშობის ცენტრი, ისევ მცირე აზიაა.

სხვა ნაშთებიდან აღსანიშნავია სხვადასხვა ზომისა და სახის მძივები (სერდოლიკის, პასტის და შუშის), ბრინჯაოს სამაჯურები, რგოლები, ბეჭდები, პატარა ზომის რკინის ნამგალი, დანა და სხვ. ყველა ზემოაღნიშნული ნივთი ორი მეტრის სიღრმეზე ჰქონდათ მიცვალებულებს სამარეში ჩატანებული. მიცვალებულები კი მოკრუნჩხული პოზით იყვნენ დამარხული, მარჯვენა ხელი თავქვეშ ჰქონდათ ამოდებული და დაწვენილი იყვნენ მარჯვენა გვერდზე. აკლდამის ან კუბოს რაიმე ნიშანი სრულებით არ ეტყობოდა. მხოლოდ პატარა ბავშვები იყვნენ დასვენებული ქვევრის გვერდის ნამტვრევზე.

დრო, რომელსაც უნდა მივაკუთვნოთ ალაზნის პირად აღმოჩენილი ნივთები, მეთორმეტე—მერვე საუკუნეა ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ამ გათხრებს მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა ხეთების საკითხთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ საქართველოს არქეოლოგიას აქვს ისეთი ნაშთები, რომლებიც ხეთურ კულტურას ენათესავება.

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

უკანასკნელი ტური

ჩვეულებრივ უკანასკნელი ტურის წინ ჩემპიონატის მდგომარეობა გამორკვეულია ხოლმე და უკანასკნელი ტური თითქმის ყოველთვის უფერულად მიმდინარეობს. ამ დღეს არც გამარჯვებულნი და არც დამარცხებულნი თავს აღარ იწუხებენ და პარტიების უმეტესი ნაწილი მშვიდობიანი ყაიმით მთავრდება.

მეათე საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი ტური, ისევე, როგორც ჩემპიონატის მთელი მსვლელობა, ამის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა. ყველა დაფაზე მწვავე და დაძაბული ბრძოლა სწარმოებდა.

მხოლოდ ერთ დაფაზე, მოპოვებული მდგომარეობის დაკარგვის შიშით, ბელავენეცი დასაწყისშივე წავიდა ფიგურების გაცვლაზე რაუზერთან და მალე ყაიმი მოიპოვა. ეს კი რაუზერისათვის უკვე მიღწევა იყო, რადგან შავებით თამაშის დროს მისი დევიზია მხოლოდ ყაიმი.

კავშირის 1937 წ. ჩემპიონმა ლევენფიშმა ლენინგრადის 1936 წ. ჩემპიონ რაგოზინთან, მიუხედავად იმისა, რომ პირველობა უზრუნველყოფილი ჰქონდა, მეფის პაიკით დაიწყო. ეს უკვე შედეგიან ბრძოლაზე გამოწვევა იყო. რაგოზინი ყოველთვის იყო რთული ბრძოლის მოყვარული. სიცილიური პარტიის არჩევით მან ეს დღესაც ერთხელ კიდევ ცხადჰყო. დებიუტშივე რაგოზინმა შესძლო ბრძოლა ლაზიერის ფრთაზე გადმოეტანა, სადაც მას ერთგვარი უპირატესობა ჰქონდა. ლევენფიში თავის მხრივ თამაშობდა დაკვირვებით და მეფის ფრთაზე იერიშის განვითარებისათვის ემზადებოდა. შუა პარტიაში რაგოზინმა ერთი სუსტი სვლით დაჰკარგა უპირატესობა, რის შემდეგ მას უკვე ყაიმისათვის უნდა ეფიქრნა. აქ მას დაეხმარა ლევენფიში, რომელმაც დაუშვა მძიმე შეცდომა, წააგო ფიგურა და დანებდა.

ბონდარევსკიმ მაკაგონოვის წინააღმდეგ შავებით ძველი ინდიური დაცვა აირჩია, რაც ტაქტიკური შეცდომა იყო. მაკაგონოვი ამ დაცვის წინააღმდეგ მეტწილად მოგებას აღწევს, რაც მან ამ პარტიაშიაც იშვიათი ოსტატობით ნათელჰყო. ბონდარევსკი დამარცხდა.

არანაკლებ საინტერესო იყო კონსტანტინოპოლსკისა და რაბინოვიჩის პარტია, რომელიც დასრულდა პირველის ბრწყინვალე გამარჯვებით.

ჩამოთვლილი პარტიების შედეგმა უკვე გამოარკვია პირველი ოთხი გამარჯვებული. მეხუთე და მეექვსე საპრიზო ადგილებისათვის იბრძოდნენ გოგლიძე და ლისიცინი.

დასაწყისში გოგლიძეს ებრალიძის წინააღმდეგ თითქოს რამდენადმე უარესი მდგომარეობაც კი ჰქონდა. მაგრამ მოხდენილი სვლებით მან მალე ხელთ იგდო ინიციატივა და მდგომარეობის ბატონ-პატრონი გახდა. იგი უტევდა ებრალიძეს ხან ლაზიერის და ხან მეფის ფრთაზე. თავის დასაცავად მას დასჭირდა ბევრი ფიქრი. თუმცა მან შესძლო მდგომარეობის რამდენადმე გათანაბრება, მაგრამ ცეიტნოტში მოხვედრის გამო ვერ მოასწრო ყველა სვლის გაკეთება და დამარცხდა.

ლისიცინი იშვიათი მონდომებითა და ენერგიით თამაშობდა კანთან. თუმცა მან ამ დღეს ვერ მოასწრო გამარჯვების მოპოვება, მაგრამ გადადებულ მდგომარეობაში ეს ქულა მას ნაღდი აქვს. ამრიგად მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ადგილზე გამოვლენ: ბელავენეცი, გოგლიძე და ლისიცინი.

საინტერესო და ეფექტიური ბრძოლის შემდეგ კასპარიან-ბუდოს პარტია ყაიმით დასრულდა.

ყაიმით დასრულდა აგრეთვე ილინ-ჟენევსკის პარტია, სადაც ბრძოლა პირველის უპირატესობის ნიშნით სწარმოებდა.

მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობის გამოსწორება გვიანღა იყო, ახალგაზრდა ოსტატთა მატჩ-ტურნირში გამარჯვებულმა ჩეხოვერმა დიდის ენერგიით ჩაატარა პარტია პანოვთან და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვა.

ალატორცევს უნდა მოეგო ლილიენტალთან, მაგრამ შესცდა და გადადებულ მდგომარეობაში შეიძლება ყაიმი იყოს.

ჩემპიონატის საბოლოო შედეგი ასეთია: I ადგილი და საბჭოთა კავშირის 1937 წ. ჩემპიონი **ლევენფიში** (ლენინგრადი) +12½, II-III ადგილი — **რაგოზინი** (ლენინგრადი) და **კონსტანტინოპოლსკი** (კიევი), +12, IV ადგილი **მაკაგონოვი** (ბაქო) +11½, **ბელავენეცი** (მოსკოვი) და **გოგლიძე** (თბილისი) +11, **რაუზერი** +10½, **ლისიცინი** +10 (1 გად.), **ჩუდოვი** +10, **ბონდარევსკი და რაბინოვიჩი** +9½, **კანი და ალატორცევი** +9 (1 გად.), **ლილიენტალი** +8 (1 გად.), **პანოვი** +8, **ბუდო, ილინ-ჟენევსკი და ჩეხოვერი** +7½, **კასპარიანი** +7, **ებრალიძე** +5.

◆

ფუნიკულორზე

ზაფხულის სეზონისათვის ფუნიკულორის პლატოზე მთავრდება ახალი დიდი შენობის აგება. ამ შენობის ქვედა სართულში მოთავსდება ფუნიკულორის მგზავრთა დარბაზები. ზედა სართულებზე კი მოაწყობენ გასართობ დარბაზებს და სამკითხველოს.

წესრიგში მოჰყავთ ფუნიკულორზე მისასვლელი საცალფეხო და საავტომობილო გზა.

ამავე დროს გადაწყვეტილია წელს გაკეთდეს და ფუნიკულორის ხაზზე ამუშავდეს ახალი კონსტრუქციის ვაგონები. არსებული ვაგონების რეკონსტრუქცია დავალებული აქვს ტრამვაის დირექციას.

◆ ◆ ◆

25 მაისს პირველი ტირაჟი

25 მაისს მოსკოვში შესდგება მეორე ხუთწლედის მეოთხე გამოშვების სესხის პირველი ტირაჟი. ტირაჟის მოახლოვებასთან დაკავშირებით გაძლიერდა დაგირავებული ობლიგაციების გამოსყიდვა და წინათ გამოშვებულ სახელმწიფო სესხთა ობლიგაციების ახალი სესხის ობლიგაციებზე გადაცვლა. 1 მაისისათვის გამოსყიდული იყო 186.000 მანეთის დაგირავებული ობლიგაცია, ხოლო ძველი ობლიგაციები გადაცვლილი ჰქონდა ახალი სესხის ობლიგაციებზე 177.376 მშრომელს. გადაცვლილი ობლიგაციების თანხა 88.740.000 მანეთს უდრიდა.

აპრილის ბოლოს თბილისში შეუდგნენ მეორე ხუთწლედის მეოთხე გამოშვების სესხის ობლიგაციათა დარიგებას. პირველი მაისისათვის განაღდებული იყო 26.367.000 მანეთის ობლიგაცია.

ორი ახალი გზატკეცილი

საქართველოს შინსახკომის გზატკეცილთა სამმართველოს საგზაო-სამანქანო სადგური საგურამოს გზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ შეუდგება მექანიზაციის წესით ორი ახალი გზატკეცილის (ნატახტარი-ლენინგორი და კავთისხევი-კასპი) გაყვანას.

ნატახტარი - ლენინგორის გზის სიგრძე 40 კილომეტრია. კავთისხევი-კასპის გზა დაიწყება სოფ. კავთისხევთან, გაივლის კავთისხევის რკინიგზის სადგურთან მდ. მტკვარზე ახლად აგებულ ხიდს და გაგრძელდება კასპამდე, რითაც ხსენებული სოფელი საავტომობილო გზით დაუკავშირდება რაიონის ცენტრს.

ხელოვნება

ელ. ჩერქეზიშვილის საღამო უნივერსიტეტის კლუბში

13 და 14 მაისს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა დრამატიული თეატრი მართავს რესპუბლიკის სახალხო არტისტის ელისაბედ ჩერქეზიშვილის 50 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავ საღამოს.

წარმოდგენილი იქნება ა. ცაგარლის კომედია „ხანუმა“. ხანუმას როლს შეასრულებს იუბილიარი, ხოლო აკოფასას—რესპ. სახ. არტ. ნიკო გოცირიძე. დანარჩენ როლებში გამოდიან სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თეატრის მსახიობები: თ. ცხვედიანი, თ. ზარამიძე, გ. ზაალიშვილი, შ. ნარსია, ნ. ნახუცრიშვილი, ე. ბედევანიშვილი და მოცეკვავეთა ჯგუფი ჯ. ბაგრატიონის ხელმძღვანელობით.

პიესას სდგამს რეჟისორი გ. ლომაია.

◆

ავტომანქანა ჯილდოდ ყარაიას რაიონს

ყარაიას რაიონი, რომელმაც 1935 წელს მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია უგზოობასთან ბრძოლაში და რესპუბლიკური გარდამავალი დროშა დაიმსახურა, ბეჯითად აგრძელებს აღებულ კურსს.

რაიონის მშრომელები აქტიურად ეხმაურებიან ხელმძღვანელი ორგანოების დავალებას საგზაო მეურნეობის გაძლიერების დარგში. უკანასკნელი დავალება — 1937 წლისათვის საჭირო საშენი მასალის მთლიანად პირველ კვარტალში დამზადება და გზებზე გამოზიდვა—რაიონმა ვადამდე შეასრულა გადაჭარბებით. გეგმით დავალებული 7760 კუბიკური მეტრის საგზაო საშენი მასალის ნაცვლად 1 მარტისათვის დამზადებული იყო 9010 კუბ. მეტრი (გეგმის 116 პროც.).

ამ წარმატებისათვის შინსახკომის გზატკეცილთა სამმართველომ რაიონი სატვირთო ავტომანქანით დააჯილდოვა.

◆

ახალი ამბები

○ **თბილისში,** ავჭალის ძველი წყალსადენის პირდაპირ, შენდება ჩაის საწონი მძლავრი ფაბრიკა. ფაბრიკა დაჯდება 9 მილიონ მანეთად და ამუშავდება 1938 წელს.

○ **დაიხურა პუშკინის საიუბილეო გამოფენა.** ორნახევარი თვის განმავლობაში გამოფენა დაათვალიერა 32.000 კაცმა.

○ **საქ.** გეოგრაფიული საზ-ბა კომპლექსურ ექსპედიციას ჰგზავნის „რაჭის ალპების (მთიანი რაჭა, ონის რაიონი) შესასწავლად. ექსპედიციას უხელმძღვანელებს პროფ. ვ. ყავრიშვილი.

სოხუმი. საბჭოთა კავშირის ცაკის დასასვენებელ სახლში ისვენებს სამოქალაქო ფლოტის ორდენოსანი მფრინავი ამხ. ნ. ი. ნოვიკოვი. **სურათზე:** ამხ. ნოვიკოვი დასასვენებელი სახლის ბაღში.

ფოტო პარასკევოპულოსი („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).



ბარკალაიტისაგან დამზადებული ნივთები.

ბარკალაიტი

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ნოსირელმა გლეხმა გრიგოლ ბარკალაიამ გამოიგონა ნახერხისა და სახალხო მეურნეობის სხვა ნარჩენების დაბრიკეტების საშუალება, რომელმაც საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

ამ გამოგონებით დაინტერესდა საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი, რომლის სისტემაში 1932 წელს დაარსდა სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორია და საცდელი სადგური, „ნილოს-ბარკალაიტის“ სახელწოდებით, მცენარეულობათა მასალების პლასტიფიკაციის ცდების ჩასატარებლად გამომგონებელ გ. ბარკალაიას მეთოდით.

ლაბორატორიისა და საცდელი სადგურის დირექტორად დაინიშნა თვით ამხ. ბარკალაია. მისი შემოქმედებითი ინიციატივისა და ენერგიის წყალობით საცდელმა ლაბორატორიამ იმდენად მოხერხებულად გადასჭრა მის წინაშე დასმული ამოცანები, რომ შესძლო თავის ექსპერიმენტალურ ქარხანაში სამრეწველო პროდუქციის დამზადება. ამჟამად ბარკალაიას მეთოდი მცენარეულობათა მასალების პლასტიფიკაციისა და ნახერხის დაბრიკეტებისა არამარტო მოწონებულია საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ და წარმატებით ხორციელდება მოსკოვში, არამედ დაწყებულია მოლაპარაკება უცხოეთის ფირმების მიერ ამხ. ბარკალაიას მეთოდის გაყიდვის შესახებ.

ექსპერიმენტული ქარხანა, სადაც ამჟამად მიმდინარეობს ბარკალაიტის ცდები, ბარკალაიტისაგან (ბარკალაიტი გამომგონებლის პატივსაცემად დაარქვეს ნახერხის დაწნეხვისაგან მიღებულ პლასტიკურ მასას) ამზადებს სხვადასხვა მანქანის დეტალებს, (რადიო-ელექტრო მოწყობილობას, ფართო მოხმარების ნივთებს). წელს ქარხანა გამოუშვებს 400.000 მანეთის პროდუქციას.

მოთხოვნილება ბარკალაიტზე დღითი-დღე იზრდება. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა ფართოდ გაშალოს ბარკალაიტის წარმოება. ამ მიზნით მოსკოვში შენდება დიდი ქარხანა, რომელიც დღეღამეში გამოუშვებს ორ ტონა ბარკალაიტს, წლიურად კი 6-8 მილიონი მანეთის პროდუქციას. გარდა ამისა, შენდება ბარკალაიტის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. მშენებლობის უფროსია გამომგონებელი გ. ბარკალაია. ქარხანაც და ინსტიტუტიც ამუშავდება ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავზე.

მოსკოვის გარდა, განზრახულია ბარკალაიტის ქარხნების აგება კიევში, ტაშკენტში და ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. საამისოდ მუშავდება ქარხნების ტიპიური პროექტი.

◆

შემთხვევები

#**მხეცური მკვლელობა.** 9 მაისს, საღამოს პლეხანოვის პროსპექტზე მიდიოდა მოქ. ი. ლ. მახვილაძე (პლეხანოვის პრ. № 91) თავისი ცოლით ო. პ. ტატიშვილის ქალით. თავისი ბინის მახლობლად მახვილაძე შეხვდა ნაცნობს ს. ქ. მედოევს და მიიპატიჟა თავის კარგ ნაცნობებთან. სამივენი გაემართნენ ნ. ი. პოპელაშვილის ქალის ბინისაკენ (პლეხანოვის პრ. № 199). მივიდნენ თუ არა პოპელაშვილის ბინაში, მახვილაძემ ჩაკეტა კარები, იძრო რევოლვერი და სამჯერ ესროლა მოქ. მედოევს, რის შემდეგაც მას სამი მძიმე ჭრილობა მიაყენა დანით. შემდეგ ორი ტყვიით მახვილაძემ მძიმედ დასჭრა ო. პ. ტატიშვილი. დაჭრილები დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მედოევი მალე გარდაიცვალა.

პირუტყვი მახვილაძე დაპატიმრებულია. მან განაცხადა, რომ ეს მხეცური მკვლელობა იჭვიანობის ნიადაგზე ჩაიდინა. გამოძიებას აწარმოებს სტალინის რაიონის პროკურატურა.

პარტკალენდარი

დღეს, 11 მაისს, საღამოს 7 საათზე ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება კონსულტაცია პროპაგანდისტებისათვის თემაზე: „ბოლშევიკური პარტიის აპრილის კონფერენცია“, ქართულ ენაზე.

○

ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს: პარტიის წევრის 1931 წლიდან ამხ. სევერიან ილარიონის-ძე კობიძის პარტბილეთი № 1506313, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მიერ, ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

11 მაისს, საღ. 7 საათზე, 26 კომისრის სახ. რაიკომის პარტკაბინეტში პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის შესდგება პროფ. ათაბეკოვის ლექცია ეკონომ. გეგრაფიიდან, თემაზე: „ჩინეთი“.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ა. იაკობაშვილი

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

11-V	არსენა
12-V	შემოდგომის აზნაურები

დასაწყისი საღ. 8-ნახ. საათზე.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

11-V	ფუენტე ოვეხუნა
12-V	მზის დაბნელება საქართველოში

დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6-45, 8-45, 10-45	დადგმის მე-2 კვირა ხმოვ. ფილმი **ნარინჯის ველი** რეჟისორი—ხელ. დამს. მოღვაწე ნ. შენგელაია
დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30	
კომკავშირელი 6-30, 8. 9-30, 11	ახალი ხმოვანი კომედია **ჯადოქარი**
რ. ლიუქსემბ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	დადგმის მე-2 კვირა ხმოვ. ფილმი **ნარინჯის ველი** რეჟისორი—ხელ. დამს. მოღვაწე ნ. შენგელაია
26 კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	
ახალი ამბები.	ხმოვ. ჟურნალები №№ 16 და 17 საბჭოთა ხელოვნება № 2.
კომინტერნი (საზაფხულო)	ხმოვ. ფილმი **ქალიშვილს პაემანზე ეჩქარება**

სახცირკი
ტელ. 3-11-44

12 მაისს უკანასკნელი წარმოდგენა დღისით დასაწყ. 2 ს. სალარო 12-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.

დღეს, 11 მაისს
ცირკის სეზონის უკანასკნელი დღეები
ფრანგული პროფეს.
ჭიდაობის
მატჩების მე-71 დღე
ყველა შეხვედრა უვადო შედეგამდე
ჭიდაობს 3 წყვილი:
1—უვადო შედეგამდე მ. ბაბალიკაშვილი—ნ. ვერდენი,
2—უვადო შედეგამდე ყარამუსტაფა - ვ. გომოზოვი,
3—უვადო შედეგამდე მ. მაჩაბელი—ვ. ბურევთი.
წარმოდგ. დასაწყ. 8 ს. 30 წ.
ჭიდაობისა—10 ს. 30 წ.

საქ. მეცხენეობის სამმართველოს ესაჭიროება
უფროსი ბუხჰალტრები

მუხროვანში (სადგურ სართიჭალიდან 7 კილომეტრის მანძილზე) და ყულარში (სადგურ შულავერიდან 2 კილომეტრის მანძილზე). პირობების გასაგებად მიმართეთ მეცხენეობის სამმართველოს. ლუნაჩარსკის ქ., № 2 17020

საქართვ. მსუბ. მრეწველობის სახ. კომისარიატის
სამკერვალო ფაბრიკა № 6
თოდრიას ქუჩა (ყოფილი სომხის ბაზრის) ქ. № 22.
აცხადებს
შემკვეთლების საყურადღებოდ,

რომ ქვემოთ ჩამოთვლილი შეკვეთები: კოსტუმები და პალტოები, როგორც კაცის, ისე ქალის, რომლებიც დამზადებული იყო 8 მაისისთვის, მიუხედავად დანიშნული ვადებისა გამოსყიდულ უნდა იქნას სამი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. აღნიშნული ვადის შემდეგ შეკვეთები გადაეცემა „მკერავგასაღებას“ და არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.

შეკვეთების №№

30, 35, 94, 109, 127, 174, 175, 271, 319, 325, 331, 332, 337,
357, 364, 372, 396, 418, 423, 465, 2078, 2111, 2120, 2129, 2167,
2178, 2182, 2195, 2197, 2222, 2286, 2327, 2333, 2334, 2349, 2620,
2661, 2664, 3003, 3016, 3033, 3059, 3067, 3105, 3115, 3121, 3148,
3150, 3193, 3201 3208, 3250, 4029, 4050, 4075, 4100, 4138, 4140,
4155, 4204, 4205, 4206, 4207, 4226, 4237, 4239, 4241, 4243, 4245,
4255, 4277, 4295, 4288, 4324, 4836, 5025, 5049, 5055, 5086, 5102,
5104, 5105, 5101, 5106, 5127, 5162, 5168, 5129, 5186, 5193, 5202,
5204, 6006, 6015, 6018, 6061, 6144, 6147, 6167, 6169, 6170, 6171.
6192, 6227, 7015, 7019, 7022, 7084, 7085, 7104, 7108, 7129, 7142,
7172, 7181, 7185, 7187, 7189, 7188, 7196, 7200, 7191, 7215, 7230,
7222, 7218, 7251, 7260, 7323, 7392, 7398, 7600, 8024, 8008, 8012,
8017, 8026, 8048, 8130, 8137, 8150, 8148, 8159, 8162, 8165, 8166,
8179, 8163, 8196, 8222, 8234, 8229, 8219, 8238, 8258, 8267, 8453,
8570, 8575, 8595, 9054, 9074, 9089, 9124, 9161, 9168, 9149, 9176,
9187, 9207, 9462, 9470, 13155.

შენიშვნა: დანარჩენი შეკვეთები: ხალათები, შალვრები და ქალის კაბები, რომლებიც მზად იყო 8 მაისისთვის, უნდა გამოსყიდულ იქნას ზემოთ აღნიშნულ ვადაში.

1076

თბილისის ლენრაისახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ს. სიგუა აცხადებს, რომ ა/წ. 15 მაისს, დღის სრულ 1 საათზე, ლოტკინის ქუჩა № 27, **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის მოქ. სერგო მაკარის-ძე ყრუაშვილის ერთსართულიან ათი საცხოვრებელისაგან შემდგარ სახლს თავისი სამომსახურო შენობებით, შეფასებულს 8.281 მანეთად. სახლი გაიყიდება თანახმად ლენრაისახ. სასამართლოს 1935 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებისა (აღმასრულებელი ფურცელი № 2/98) მოქ. პელაგია ბერაძის (სასამართლოს ბაჟიანად) 3.888 მანეთის დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობის დროს დაცული იქნება საერთო წესები. 17018

თბილისის სამხატვრო აკადემია აცხადებს,
რომ ა. წ. 20 მაისიდან აკადემიის არქიტექტორულ ფაკულტეტთან იხსნება „არქიტექტორთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები“ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

განცხადებების მიღება და პირობების გაგება—საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კავშირში დღისით 12-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 10 საათამდე. განცხადებები მიიღება 15 მაისამდე.

17019 აკადემიის დირექტორი ს. კაკაბაძე.

საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის დირექცია აცხადებს,
რომ ა/წ. 18 მაისს შესდგება ინსტიტუტის საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზედაც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო შრომებს დაიცავენ:

დილის სხდომაზე (12 საათზე):
1. ასპირ. ა. დ. ლაშხი, თემაზე: „საფუვრების სხვადასხვა კულტურების მიერ გამოწვეული ალკოჰოლური დუღილის შედარებითი ბალანსი“.
ოპონენტები—პროფ-ბი: კ. მოდებაძე და ა. ცაგარელი.
2. ასპირ. ნ. ტ. გელაშვილი, თემაზე: „სუფრის ღვინის აშრობის ნორმების განსაზღვრა საქართველოს სარდაფებში“.
ოპონენტი პროფ. ვ. ღვალაძე.
3. ასპირ. გ. ა. კვაჭაძე, თემაზე: „ბოსტნეულ კულტურათა დამყნობის ახალი წესი“.
ოპონენტი პროფ. დ. გედევანიშვილი.
საღამოს სხდომაზე (8 საათზე):
1. დოც. მ. ბ. თედორაძე, თემაზე: „სატრაქტორო გუთნების გამოკვლევის შედეგები და შესაფერისი კონსტრუქციის არჩევა“.
ოპონენტი პროფ. კ. ამირაჯიბი.
2. დოც. გ. ი. აბესაძე, თემაზე: „სიმინდის ჯიშთაშორისი ჰიბრიდიზაციის შედეგები საქართველოში“.
ოპონენტები—პროფ-ბი: ლ. დეკაპრელევიჩი და ნ. ხომიზური.
3. დოც. მ. ტ. ასკერბეილი, თემაზე: „კიროვაბადის რაიონის დაბლობი ნაწილის ნიადაგი და მისი სას-სამ. ღირსებები“.
ოპონენტი: დოც. მ. საბაშვილი.
შრომების გაცნობა შეიძლება სას.-სამ. ინსტიტუტში პროფ. კ. ბ. მოდებაძესთან.
70 სას.-სამ. ინსტ-ის დირექტორი პროფ. **ან. ბუაჩიძე**

„კომუნისტის“ რედაქციას ესაჭიროება
გამოცდილი კორექტორები
პირობების გაგება „კომუნისტის“ რედაქციის სამდივნოში.

საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს ქალაქ თბილისის ყველა კომკავშირულ ორგანიზაციას, რომ უდროოდ გარდაიცვალა ძველი კომკავშირელი მუშაკი, მედგარი ბოლშევიკი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ამხ. სერაფიონ დგებუაძე

დაკრძალვა მოხდება 12 მაისს ქ. ცხაკაიაში

საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომი მწუხარებით იუწყება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის

ამხ. სერაფიონ კონსტანტინეს-ძე დგებუაძის

უდროოდ გარდაცვალებას.

საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ამხ. სერაფიონ დგებუაძე

საქ. ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის

ამხ. სერაფიონ დგებუაძის

უდროოდ გარდაცვალებას

საქართველოს ალკკ სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის

ამხ. სერაფიონ დგებუაძის

გარდაცვალებას.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეო — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ/მგ. მორიგის. — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—8249